ყველადღიურგაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 18 იანვარი, 2010 №13 (5089) ფასი: 30 თეთრი

3090

sms განცხადებები ახალ თაობაში!

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

აფხაზებს ქართველების მიმართ სიმპათია გაუჩნდათ

მაგრამ ჯერჯეროობით ისევ რუსეთი ურჩევნიათ

გვ.6

რესპუბლიკელები ოპოზიციურ შეთანხმებას არღვევენ!

გვ.3

საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნებს ორშაბათს ჩაატარებს

გაერთიანებას თუ შევძლებთ, ხელისუფლება დამარცხდება

გვ.2

ხელისუფლებას კობალაძის დიდი ავტორიტეტის შეეშინდა

გვ.4

გვ.2

სასამართლო ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე გადავიდა

არიან თუ არა უკრაინაში ჩასული ქართველი დამკვირვებლები სპეცრაზმელები

გვ.5

ინფორმაციის პარტიამ დამკვირვებლების წინააღმდეგ ოფიციალური დადო

გაყალბების მიუხედავად, „ალიანსი საქართველოსთვის“ მაინც გაიმარჯვებს

გვ.2

გიგი უგულავამ სიმართლე საერთაშორისო სასამართლოში დაამტკიცოს!

გვ.3

გვ.6

ნოღაიდელი კარდაკარ თბილისშიც ჩამოივლის

8 სოფო ნიქარაძე ევროპიზიაზე წარგვადგენს

3 ფილიპინებში დაკავებული ქართველები სამშობლოში თვის ბოლომდე დაბრუნდებიან

2 აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 1 მილიარდ დოლარს გამოუყოფს

6 აფხაზურ არმიაში ქართველებს ძალით არ იწვევენ

სასამართლო ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე გადავიდა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის ცოტნე გამსახურდიას სისხლის სამართლის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვის ეტაპზეა და სავარაუდოდ, პირველი პროცესი, 24 ან 25 იანვარს გაიმართება. ამის შესახებ „მედიანიუსს“ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა, ქეთი ბექაურმა განუცახადა.

ქეთი ბექაურის განცხადებით, ცოტნე გამსახურდია შიმშილობის აქციას ისევ აგრძელებს და დღეს ამ ფორმით, პროტესტის 24-ე დღეა. „ესაა ცოტნე გამსახურდიას შიმშილობის მეორე ტალღა. იგი 25 დეკემბრიდან მოყოლებული შიმშილობს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა თავს მაინც სუსტად გრძნობს. ექიმები მას ყურადღებით ეპყრობიან. ცოტნე გამსახურდია ამჟამად პატიმრათა და მსჯავრდებულთა სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება.“ - განაცხადა ბექაურმა.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდებული მიმდინარე კვირას სასულიერო პირებმა - მამა თეოდორემ და მამა გერასიმემ მოინახულეს.

ცოტნე გამსახურდიასთვის შეფარდებული წინასწარი ორთვიანი პატიმრობის ვადა 2009 წლის 27 დეკემბერს ამოიწურა, თუმცა ვადის ამოწურვამდე, ორი დღით ადრე, ცოტნე გამსახურდიას საქმე სასამართლოში გადაიგზავნა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო არსებითად იმსჯელებს ცოტნე გამსახურდიას ბრალეულობის საკითხზე და საპროცესო კოდექსით დადგენილი ოთხი თვის ვადაში, საბოლოო განაჩენს გამოიტანს. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ აღძრული ამჟამინდელი და წინა სისხლის სამართლის საქმეები გააერთიანოს და განაჩენიც წაყენებული ყველა მუხლის ერთობლიობით გამოიტანოს.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია სამართალდამცავებმა 2009 წლის 27 ოქტომბერს დაიკავეს და მოქალაქე დავით ბაჯელიძის დაჭრაში დაადანაშაულეს. მას ასევე ბრალად ედება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში. ამასთან, გამსახურდიას წაყენებული აქვს მეორე ბრალდება, რაც სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებას ითვალისწინებს. მას ამ ბრალდებისთვის შეფარდებული აქვს არასაპატიმრო ღონისძიება. საქმე ეხება 2007 წლის ნოემბრის მოვლენებს, ოპოზიციის მიერ გამართული აქციების დროს გავრცელებულ ვიდეო ჩანაწერებს, სადაც გამსახურდიას რუსეთთან კავშირზეა საუბარი.

მედიანიუსი

გაერთიანებას თუ შევძლებთ, ხელისუფლება დამარცხდება

ნათახურცლავა

„კონსერვატორი“ ლაშა ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის გამარჯვებისთვის ერთადერთი გამოსავალი ადგილობრივ არჩევნებში ერთიან კანდიდატზე შეთანხმებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩხარტიშვილი ოპოზიციის დამარცხებაზე საუბრობს. გაზაფხულის თვითმმართველობის არჩევნებს ის ჩვეულებრივ, მორიგ არჩევნებს არ უწოდებს, რადგან მიიჩნევს, რომ ეს არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქვეყანაში შემდგომი პოლიტიკური პროცესების განვითარებისათვის.

„ახალი თაობა“ ლაშა ჩხარტიშვილთან გთავაზობთ ინტერვიუს.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ცესკოს ახალი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, მოელოდით პროცესების ასე განვითარებას?

— ჩემთვის და ალბათ ბევრისთვის აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო ის მოვლენები, რაც განვითარდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებით, ისე, როგორც სამი წევრის არჩევასთან დაკავშირებით. სააკაშვილი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულად ქმნის ილუზიას, რომ ის დემოკრატიულ რეფორმებს აპირებს. რეალურად ეს ყველაფერი მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ შირმის შექმნას და არა რეალურ ცვლილებებს. ამის არაერთი მაგალითი არსებობს ჩვენს რეალობაში. სააკაშვილი მხოლოდ განცდის შექმნას ცდილობს. საინტერესოა ამ ტერმინის დამტკიცება, „დემოკრატიულობის განცდა“, განცდა სამართლიანი არჩევნებისა, „განცდა სამართლიანობისა“. განცდა კი არ უნდა იყოს მიზანი, არამედ რეალური ცვლილებები უნდა იყოს მიზანი. რეალურად მხოლოდ და მხოლოდ განცდის შექმნა იყო მიზანი ამ პროცესებისა. ეს იყო ორმოქმედებიანი ფარსი, რომელიც აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ ასე დამთავრდებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც ენდიაის ჯგუფში განვითარებული მოვლენები, როდესაც ხელისუფლებამ შექმნა პროცესი, რომელიც ვითომდა მიზნად ისახავდა ოპოზიციასთან ერთად დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას. საარჩევნო პროცესთან მიმართებით, მაგრამ როდესაც რეალურად პრინციპულ საკითხამდე მივიდა პროცესები, მათ შორის საარჩევნო ბარიერის საკითხთან ხელისუფლებამ ენდიას ჯგუფი დაბოვა. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია ჩვენს რეალობაში. შესაბამისად, ამ ფარსის შედეგიც, რომ ასეთი იქნებოდა ეს ანთელი უნდა ყოფილიყო ყველასათვის. ხელისუფლებამ, ვიმეორებ, ორმოქმედებიანი ფარსი გაითამაშა, რომელიც მორიგი თარხნიშვილის არჩევით დასრულდა, მორიგი, მიხეილ საკაშვილის მორჩილი ყმის არჩევით. ნათელი იყო, რომ სამივე კანდიდატი უხმოდ შეასრულებდა სააკაშვილის ბრძანებებს. ამაზე ადამიანების უახლოესი წარსული მეტყველებს. თარხნიშვილის წარდგენა უმაღლესი მწვერვალი იყო ცინიზმის. მის მიერ გაყალბებული არჩევნები ყველას კარგად გვახსოვს. თუნდაც ნაგავსაყრელზე აღმოჩენილი ბიულეტენები, თუნდაც ვიდეოკამერების ჩანაწერების გასაჩივრებაზე უარის თქმა. ასევე არაერთი დარბევა და საჩივრის არდაკმაყოფილება. ფაქტიურად არც ერთი საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. თარხნიშვილის წარდგენა ნიშნავდა, რომ ხელისუფლება ოპოზიციის და საზოგადოების წინააღმდეგ იყო განწყობილი, ნამდვილად არ აპირებდა დემოკრატიულ არჩევნებს.

— რას იტყვით ხარატიშვილზე?

— რაც შეეხება ხარატიშვილს, ის წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად მუშაობდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველ არხად რჩება საბჭოთა დროს რეინკარნაციის ფარგლებში. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი შეეცდება ყველაფერი გააკეთოს, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში დაეხმაროს. რაც შეეხება სიტჰინავს, ის იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. სასამართლოს დამოუკიდებლის ხარისხი რომ ნულის ტოლია, ეს ფაქტია.

— თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, „კონსერვატორები“ არჩევნებში იღებთ მონაწილეობას, რის იმედად თუ ხელისუფლებას იმთავითვე აქვს არჩევნები გაყალბებული?

— ხელისუფლებას იმთავითვე აქვს სურვილი, რომ გააყალბოს არჩევნები, ალბათ, გააყალბებს კიდევაც. თუმცა, საუბარია პრინციპულ საკითხებზე, რა მასშტაბით შეძლებს ხელისუფლება ამ არჩევნების გაყალბებას. ეს კი ორ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ, საზოგადოების აქტივისობის ხარისხზე, ხოლო მეორეს მხრივ, ოპოზიციის ერთიანობის ხარისხზე. თუ ოპოზიცია შეძლებს ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას. ერთიანობის დაფიქსირებას ამა თუ იმ ოლქში, მათ შორის, ალბათ, უპირველეს ყოვლისა თბილისში, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოების მონაწილეობა თუ იქნება არჩევნებში მაღალი, ამ შემთხვევაში გაყალბების რესურსი, ობიექტური რესურსი შეზღუდული იქნება და შესაძლებელი იქნება გამარჯვების მიღწევაც. ერთიანობის არარსებობის შემთხვევაში ეს ძალიან გაჭირდება.

— რამდენად შეძლებს ერთიანობის მიღწევას ოპოზიცია? ამბობენ, მოლაპარაკებები ამ მიმართულებით ჩავარდა...

— მოლაპარაკებები გრძელდება. ვფიქრობ, ოპოზიციას ნამდვილად უნდა ეყოს ძალა საიმისოდ, რომ შეძლოს წინააღმდეგობების დაძლევა და ერთიანი ფრონტით გამოსვლა მოქმედი ავტორიტეტული რეჟიმის და მისი ხელმძღვანელის სააკაშვილის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მისი არგამოყენება რეჟიმის შეცვლისთვის ნამდვილად არ იქნებოდა სწორი. მთავარია, ოპოზიციამ შეძლოს მართლაც რეალური კანდიდატების წარმოდგენა. ეს კანდიდატი ერთიანი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში, მართლაც პრობლემატური იქნება ოპოზიციის გამარჯვება. ოპოზიციას აქვს მძიმე გამოცდილება საპარლამენტო არჩევნებზე, როდესაც ოპოზიციურმა კანდიდატებმა ერთმანეთს წაართვეს ხმები და ამით ხელისუფლებამ იხეირა. ამიტომ, ეს არის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი. იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა, რომელიც ჩვენი და სხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან არის, წარმატებით დასრულდება. ამ საკითხზე ჯერ ხელის ჩაქნევა ნამდვილად არ შეიძლება.

— ხელისუფლებაში არის მოსაზრება, რომ ოპოზიცია რევანშისთვის, 2007 წლის მოვლენების გამწვარებისთვის ემზადება. ისინი ამბობენ, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც ოპოზიცია იტყვის, არჩევნები გაყალბდა და ქუჩაში უნდა გავიდეთ...

— 2007 წელს ძალისმიერ მეთოდებს ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება საზოგადოების აქტიურობას, მათ შორის საპროტესტო აქციების გამართვას და ქუჩის აქტიურობას ეს დამოკიდებულია, როგორ განვითარდება საარჩევნო პროცესები. თუ არჩევნების გაყალბება საზოგადოებისთვის თვალსაჩინო იქნება, ბუნებრივია, ის გამოხატავს პროტესტს. თუ არ იქნება ეს თვალსაჩინო, ამ შემთხვევაში ვერანაირი პოლიტიკური ძალა ხელოვნურად ვერ შექმნის ამ პროცესს და ეს პროცესი ვერ იქნება იმ მასშტაბის, რომ რამე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანოს პოლიტიკურ რეალობაში. დღეს, საზოგადოება ძალიან ინფორმირებულია. მისთვის ნათელი იქნება, როგორ მოიქცევა ხელისუფლება არჩევნებზე. რაც მოხდა ცესკოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ის სიმპტომია, რომელიც საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ ხელისუფლება არ ცვლის საკუთარ კურსს და ის აგრძელებს არჩევნების გაყალბებისთვის აქტიურ მზადებას. თუმცა, დაველოდოთ მოვლენებს.

— ხომ არ თვლით, რომ ხელისუფლება აგრძელებს იგივე პოლიტიკას და ოპოზიცია ისევ ილუზიებშია?

— თუ ოპოზიცია შეძლებს ერთიანობის მაღალი ხარისხის მიღწევას, შანსი გამარჯვებისა არსებობს. სხვა შემთხვევაში ბუნებრივია, ეს შანსი ძალიან დაბალია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ არჩევნებში მონაწილე ძალები პრაიმერის თუ სხვა გზით მაინც შეძლებენ შეთანხმების მიღწევას. თუმცა, პრაიმერი ყველაზე სამართლიანი პროექტია.

აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 1 მილიარდ დოლარს გამოუყოფს

აზიის განვითარების ბანკმა საქართველოს დასახმარებლად 2010-2011 წლებისათვის 1 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ბანკი საქართველოში სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების განხორციელებასა და კერძო სექტორის დაფინანსებაში მონაწილეობს. სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტებს.

ბაინდურაშვილის ინფორმაციით, საგზაო ინფრასტრუქტურის აღსადგენად აზიის განვითარების ბანკმა 500 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, აქედან 120 მილიონ აშშ დოლარზე სათანადო ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტი უკვე არსებობს, რომელიც ქობულეთის შემოვლითი გზის რეაბილიტაციას მოხმარდება. 120 მილიონი აშშ დოლარის მისაღებად საჭირო კონტრაქტს კი ხელი 2010 წლის ბოლომდე მოეწერება, რაც ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოებისათვის დაიხარჯება.

დანარჩენი 260 მილიონი დოლარი კი, უკვე 2011 წლისთვისაა გათვალისწინებული.

რაც შეეხება წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციას, მისთვის აზიის განვითარების ბანკს 40 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი.

მედიანიუსი

გაუყალბების მიუხედავად, „ალიანსი საქართველოსთვის“ მაინც გაიმარჯვებს

„ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარის სოზარ სუბარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს ახალი თავმჯდომარის დახმარებით, ხელისუფლება არჩევნებს ისევ გააყალბებს, “ალიანსს“ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მაინც უღირს.

ამის მიზეზად სუბარი თბილისში ოპოზიციისადმი დიდ მხარდაჭერას ასახელებს. მისივე თქმით, ხელისუფლებამ 2008 წლის ორივე არჩევნები გააყალბა, მაგრამ თბილისი, მაინც ოპოზიციამ მოიგო.

— გაყალბების მიუხედავად საპარეზიდენტო არჩევნებზე თბილისი დიდი უპირატესობით ლევან გაჩეჩილაძემ მოიგო. საპარლამენტო არჩევნებზე კი, დედაქალაქში ოპოზიციამ ხმების 60 პროცენტები აიღო, ხოლო ხელისუფლებამ — 40. უბრალოდ, სხვა რეგიონებში მასობრივად გაყალბებული ხმებით ოპოზიციის გამარჯვება გააბათილეს. ადგილობრივ არჩევნებს ეს უპირატესობა აქვს, რომ ხმები ცალკეული ოლქების მიხედვით ითვლება. ამიტომ ვფიქრობ, რომ თბილისში „ალიანსი საქართველოსთვის“ აუცილებლად გაიმარჯვებს მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები გაყალბდება, — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას სოზარ სუბარმა და დასძინა, რომ ხელისუფლების მთავარი იარაღი სწორედ გულგატეხილობაა, რომელსაც ხალხში ფარულად ნერგავს, თითქოს არჩევნებზე მისვლას აზრი არ აქვს, რადგან მათი ხმები მაინც გაყალბდება.

— მთავარია ხალხს გულგატეხილობის განცდა არ გაუჩნდეს. თუ ყველა მოვა არჩევნებზე, შედეგიც იქნება, — აღნიშნავს სუბარი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი „ სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი „ ლაღი ასლანაშვილი
რედაქტორის მოადგილე „ შორეა ქარსაგაშვილი

კონსულტანტები
თამარ ნინაშვილი, დავით ყიფიანი
სფინანსო სამსახური „ ელარა ბალაკაძე
სარეკლამო სამსახური „ 94–02–55
გაფცელების სამსახური „ შერან ღლიღრაშვილი
დირექტორი „ ზურაბ ბერძე
დაკაბადონება „ ინგა დვალაშვილი, ნინა კანდელაკი, ეზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილ-ალ-პროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გამოქვეყნებული მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

გიგი უგულავამ სიმართლე საერთაშორისო სასამართლოში დაამტკიცოს!

პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე თბილისის მერიის მხრიდან, მერის გიგი უგულავას მიერ რუსულ „ნიუსვიკთან“ გაკეთებულ განცხადებების უარყოფას საზოგადოებისთვის არადამაჯერებელს უწოდებს და გიგი უგულავას სიმართლის დამტკიცებისთვის, საერთაშორისო სასამართლოში ჩივილისკენ მოუწოდებს.

— თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ რუსულ „ნიუსვიკთან“ ნაოქვამი თავისი მასშტაბურობით და რეზონანსულობით შემიძლია მხოლოდ ზურაბ ჟვანიას ცნობილ ფრაზას შევადარო: „ვარ ქართველი, და მაშასადამე, ვარ ევროპელი“. არანაკლებ მყღერი და სენსაციური განცხადება გააკეთა გიგი უგულავამ: „უოტინი დიდი პოლიტიკოსია, იგი ერთ-ერთია მსოფლიოს სამ ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის...“ ეს დედაქალაქის მერმა იმ პოლიტიკოსზე განაცხადა, რომელსაც მოარული ხმები ქართველთაგან „ლილიუტინადა“ წოდებული, ვისაც 2008 წლის რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომის გაჩაღებაში დანაშაულებენ და რუსეთის არადემოკრატიულ მმართველად თვლიან, როგორც პრეზიდენტობის პერიოდში, ისე პრემიერის პოსტზე. საინტერესო მეტამორფოზაა, — აცხადებს ბერიძე.

მისი თქმით, უგულავას ინტერვიუს მთავარი გზავნილი ისაა, რომ თუ რუსეთი აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ჯარებს გაიყვანს, საქართველოს შუუძლია უარი თქვას ნატოში შესვლაზე.

— გზავნილის ადრესატი ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც რუსეთის ხელისუფლება და დასავლეთია, თუმცა ვეჭვობ, კრემლისთვის ან თეთრი სახლისთვის ეს განცხადება საქართველოს ხელისუფლებისგან მორიგი სიურპრიზი ყოფილიყო. ამით მიხეილ საააკაშვილმა დასავლეთს დათმობებისათვის, ხოლო რუსეთს კომპრომისებისათვის მზადყოფნის შესახებ ამცნო. ყველაზე გულუბრყვილო ადამიანიც კი, ვინც მიხეილ საააკაშვილისა და გიგი უგულავას ფიგურებს იცნობს და ვინც მათი ბოლოდროინდელი ურთიერთობების კონტექსტი იცის, წამითაც კი არ დაეჭვდება, რომ უგულავა ასეთ მნიშვნელოვან განცხადებას მიხეილ საააკაშვილის თანხმობის გარეშე არ გააკეთებდა, — ფიქრობს ბერიძე.

მისივე თქმით, მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით, კიდევ ერთი მომენტი იქცევს ყურადღებას.

— უგულავას ეს მნიშვნელოვანი განცხადება საქართველოში ამერიკელი სენატორ ჯონ მაკკეინის ვიზიტიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაკეთდა. ცხადია, მაკკეინი საქართველოში მხოლოდ საპატიო ქართული ჯილდოს მისაღებად არ ჩამოსულა. გავლენიანი ამერიკელის გამგზავრებას კი ნატოზე უგულავას განცხადება, ენერგეტიკული სამიტის კონფერენციად გადაკეთება და საქართველოს პრეზიდენტის საომარი რიტორიკის გამძაფრება მოჰყვა. მართლაც საინტერესო მოზაიკა გამოდის, — აცხადებს ბერიძე.

მედიანეს

საქართველოს პარლამენტი 22 იანვრიდან დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეას დატოვებს

22 იანვრიდან საქართველოს პარლამენტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი აღარ იქნება.

როგორც დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარემ, სერგეი მირონოვმა განაცხადა, საქართველომ აღნიშნულ ორგანიზაციას მისი დატოვების შესახებ ოფიციალურად 22 ივლისს მიმართა. მოქმედი წესით, კონკრეტული სახელმწიფოს წევრობა ასეთი განაცხადის მიღებიდან ნახევარი წლის შემდეგ უნდა შეწყდეს.

მირონოვის თქმითვე, ქართველი პარლამენტარები ამ საკითხზე 11 თვის განმავლობაში ფიქრობდნენ და, შესაძლოა, დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის დატოვება მათ „სულაც არ უნდოდათ“.

როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა განაცხადა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

მედიანეს

ფილიპინეებში დაკავებული ქართველები სამშობლოში თვის ბოლომდე დაბრუნდებიან

ფილიპინეებში დაკავებული ქართველი მეზღვაურები გათავისუფლებულები არიან და ისინი სამშობლოში თვის ბოლომდე დაბრუნდებიან. ამის შესახებ ინფორმაციას ჟურნალისტებთან საუბრისას თავად გათავისუფლებული ოჯახის წევრებიც ადასტურებენ.

ფილიპინეების სასამართლომ ქართველ მეზღაურებს გამამართლებელი გადაწყვეტილება მიმდინარე კვირას გამოუტანა, რითაც მიმდინარე ხანგრძლივი სასამართლო პროცესი დასრულდა.

პანამის დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი 2009 წლის 21 აგვისტოს დაუკავეს, რომელზეც დიდძალი იარაღი აღმოჩნდა, ხოლო ფილიპინეების ხელისუფლებამ შემთხვევა კონდრაბანდად მიიჩნია და საქმეც ამ მუხლით აღძრა. დღემდე გავრცელებული ინფორმაციით, გემს ფილიპინებზე ისრაელის წარმოების საბრძოლო იარაღი კონტრაბანდული გზით გადაჰქონდა. გემის მფლობელმა კომპანია “ლა პლატამ“ ქართველ მეზღაურებს მაშინვე დაუნიშნა ადვოკატი, რომელიც საკითხის გარკვევას ფილიპინეების ხელისუფლებასთან აწარმოებდა. ქართველი მეზღვაურები ცალ-ცალკე დაკითხეს და ჩამოართვეს თითის ანაბეჭდები. მათი ჩვენების მიხედვით, ირკვევა, რომ მათ არაფერი იცოდნენ გემზე არსებული ტვირთის შესახებ.

რადგანაც ფილიპინეზე არ არსებობდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქართველი მეზღვაურების საქმის მეურვეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოსთის ჰქონდა დავალებული.

მედიანეს

რესპუბლიკელები ოპოზიციურ შეთანხმებას არღვევენ!

ნინა ცანავა

საკანონმდებლო სამართლიანარჩევნებსარასდროს ჩაატარებს

კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის გვერდში ზურაბ ნოღაიდელის გამოჩენას ბევრი მითქმა-მოთქმა და უარყოფითი განცხადებები მოჰყვა დანარჩენი ოპოზიციური პარტიების მხრიდან, ყველაზე მკვეთრი და შეურაცხმყოფელი განცხადებებით კი რესპუბლიკელები გამოირჩეოდნენ. როგორც ჩვენი რესპონდენტი, ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი აცხადებს, მას და ნოღაიდელს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვები აქვთ და მათი გაერთიანება მხოლოდ ერთი საკითხის — პრაიმერის გამო მოხდა. დავითაშვილი ნოღაიდელს კონკურენტად მიიჩნევს და სურს, რომ პრაიმერში მან გაიმარჯვოს და არა ზურაბ ნოღაიდელმა.

— პატონო კობა, დღეს მთელი პოლიტიკური სპექტრის ყურადღება გადატანილია ცსკ-ის თავმჯდომარის არჩევაზე. ოპოზიციამ ამ პროცესებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. დასახელებული სამი კანდიდატიდან თქვენთვის რომელმე მათგანი თუ იყო მისაღები?

— პირველი: მე არ ვიცი, მთელი პოლიტიკური სპექტრის ყურადღება იქით არის თუ არა, ჩემი ყურადღება იქით ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ საააკაშვილისგან არც ნორმალურ არჩევნებს და აქედან გამომდინარე, არც ნორმალურ თავმჯდომარეს არ ველი. ვინც არ უნდა იყოს ეს თავმჯდომარე, იქნება საააკაშვილის ყურმოჭრილი მონა და მის ყველა დავალებას შეასრულებს. ეს ცხადია და რაიმე ილუზია არც არასდროს მქონია ამ პროცესზე, ჩვენი კოლეგებისგან განსხვავებით და არც მეენება მომავალში. ამიტომ, ჩემი მთავარი ყურადღება დღეს გადატანილია ოპოზიციის გაერთიანებისაკენ და ასე ვთქვათ, საზოგადოების ამ პროცესში ჩართვისაკენ, რაც უკავშირდება წინასწარი არჩევნების გზით ერთიანი კანდიდატის გამოვლენას. ერთიანი კანდიდატურა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცსკ-ის თავმჯდომარე, იმიტომ, რომ ცსკ-ის თავმჯდომარე მაინც ხელისუფლების იქნება და როცა ჩვენ რამე არ მოგვწონს განტოლებაში, ჩვენი თავი უნდა შევცვალოთ, სხვას ნამდვილად ვერ შევცვლით. საააკაშვილს ჩვენ ნამდვილად ვერ შევცვლით და ფრთიან ანგელოზ დემოკრატად ვერ ვაქცევთ, ამიტომ ჩვენზე რაც არის დამოკიდებული, ჩვენს გაერთიანებას ვგულისხმობ, სწორედ ამაზე უნდა ვიზრუნოთ. ნამდვილად არ დავინტერესებულვარ ცსკ-ის თავმჯდომარესთან დაკავშირებული პერიპეტიებით და არც მომავალში არ დავინტერესდები, იმიტომ, რომ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ოპოზიციის გაერთიანება.

— მაინც საინტერესო უნდა იყოს, ვინ იქნება ცსკ-ის თავმჯდომარე. არჩევნები თუ კვლავაც გაგიყალბეს, მაშინ ხომ აზრი ეკარგება თქვენს ერთობასაც?

— მაპატიეთ, არჩევნებს რომ გააყალბებენ, მე ვიცი. მე მინახავს გაყალბებული არჩევნები საპრეზიდენტო და საპარლამენტო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თბილისში, მიუხედავად გაყალბებისა, მიუხედავად იმისა, რომ ცსკ-ის თავმჯდომარე იყო თარხნიშვილი, ოპოზიციამ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნებიც და საპარლამენტო არჩევნებიც. თუ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარები ვერ გაიყვანა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ თითოეულ ოლქში რამდენიმე ოპოზიციური კანდიდატი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ხმები წაართვეს და ამით ხელისუფლება დარჩა მოგებული. მე მახსოვს, რომ ჩვენი ერთობაა უფრო მნიშვნელოვანი და არა ის, თარხნიშვილი იქნება ცსკ-ის თავმჯდომარე თუ სხვა ადამიანი, რომელიც მალე თარხნიშვილად ჩამოყალიბდება. დღეს მთავარი და მნიშვნელოვანი არის ოპოზიციის გაერთიანება. თარხნიშვილი იქნება გვარად საააკაშვილის კაცი თუ ვინმე სხვა გვარი, მე მგონი უმნიშვნელოა ამ შემთხვევაში. ვისაც ჰქონდა ილუზია, რომ მიხეილ საააკაშვილი თუნდაც ერთ ნორმალურ გვარს დაასახელებდა, თუნდაც ერთ სანდო ადამიანს, ის ილუზია გაქრა, მე მგონი, ამ სამი ადამიანის დასახელების დროს, როდესაც ჩვენ ვნახეთ, რომ ერთმანეთზე უარესი ხალხი დაასახელა. ვისაც იმედი ჰქონდა, ძალიან მაინტერესებს, ეს ხალხი რას მოელოდა საააკაშვილისგან. ეს ხომ ცნობილი თაღლითი და მატყუარაა. რომ გამოვიდა და ნიანგის ცრემლებს რომ ღვრიდა, ახლა სამართლიანი არჩევნები უნდა ჩავატაროთო, ვინმემ დაიჯერა?

— მაშინ რა საჭირო იყო ამდენი აჟიოტაჟი და ხმამაღალი განცხადებები, რომ ცსკ-ის თავმჯდომარე ოპოზიციამ უნდა აირჩიოსო...

— იცით რა, საააკაშვილის პიარინტერესი და რეალური ინტერესი, ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პიარში მას უნდა ისე გამოჩნდეს, რომ თითქოს ოპოზიციასთან თანამშრომლობს და ქვეყანაში დემოკრატიაა, ეს პიარის დროს სჭირდება, მაგრამ რეალურად ის არის დიქტატორი. ამიტომ მისი პიარი ბოლომდე ვრანდროს ვერ მიდის ხოლმე, მასში დიქტატორის მოთხოვნილებები იმარჯვებს.

— თქვენ პრაიმერზე საუბრობთ აქტიურად, თუმცა, რაღაც გაგიჭირდათ ეს საკითხი...

— იოლი არაფერი არ არის ამქვეყნად, მით უმეტეს, ახალი პროცესის დამკვიდრება. ყველა კარგი ტრადიცია თავის დროზე ახალი და ძნელად მისაღები სიახლე იყო, სანამ დამკვიდრდებოდა და ტრადიციათ იქცეოდა.

— არ გვიანდება ეს პროცესი?

— ჩვენ გვაქვს დრო. მოლაპარაკებების დროს ბოლო ვადა გვაქვს 28 იანვრამდე, შემდეგ კანდიდატურების დასახელება შესაძლებელია თებერვლის ბოლომდე, პრაიმერი კი 28 მარტს არის დანიშნული. 28 მარტს შეეკითხებით ხალხს, რომელი ლიდერია მათთვის მისაღები ერთიანი მერობის კანდიდატის საკრებულოს წევრობის კანდიდატების პოსტზე. რომელსაც აირჩევენ, ჩვენ ყველა მოვხსნით ჩვენს კანდიდატურას და ხალხის მიერ არჩეულს დავუჭერთ მხარს.

— ამ ეტაპზე რამდენი პარტია ხართ და თუ ელოდებით, რომ კიდევ ვინმე შემოგიერთდებათ?

— მოგეხსენებათ, რომ სამი პარტია იყო ჩართული აქტიურად, მეოთხე პარტიამაც გამოთქვა სურვილი, ბატონი გია მაისაშვილის პარტიამ, ვეტერანთა პარტიამაც ფაქტიურად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და კიდევ რამდენიმე პარტიასთან მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები. მათ შორის არიან მრეწველები, ბატონმა ზურაბ ტყემალაძემ ძალიან საინტერესო ვარიანტი შემოგვთავაზა პრაიმერის ჩატარებისა და ჩვენ ვიხრებით იქითკენ, რომ მისი შემოთავაზება და წინადადება მივიღოთ.

— იმედი გქონდათ, რომ ალიანსიც წამოვიდოდა ამაზე, მაგრამ მათ საბოლოოდ უარი განაცხადეს პრაიმერში მონაწილეობაზე...

— ალიანსზე მე არ ვკარგავ იმედს და თუ აკვირდებით, იმ ლანძღვა-გინების კორიანტელს, რომელიც მოდის რესპუბლიკელებიდან, მე არ ვპასუხობ, სწორედ იმიტომ, რომ მომავალ თანამებრძოლებად მივიჩნევ და არ მინდა ისეთი რამ ვუთხრა, რომელიც შეუძლებელს გახდის შემდგომში ჩვენს თანაშრომლობას.

— იმაზეც აქტიურად მიდის საუბარი, რომ ალიანსში სერიოზული დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობაა...

— მე პატივს ვცემ ალიანსს, როგორც ოპოზიციურ ერთობას და ნამდვილად არ არის მისი დასუსტება და დაშლა ჩემი მიზანი. ჩემი მიზანი არის ოპოზიციის გაერთიანება, ნებისმიერ ერთიანობას ოპოზიციის, თუნდაც სამ პარტიულს, როგორიც ალიანსია, მე პატივს ვცემ და მესმის ის სირთულეები, რომელიც ამ გაერთიანებას ახლავს ხოლმე. მაგრამ ფაქტები მეტყველებს ყველაფერზე. ფაქტობრივად თავდასხმები და აგრესიული თავდასხმები მოდის რესპუბლიკელებიდან, ამ მხრივ არც ალასანია და არც მემარჯვენეები არ გამოირჩევიან, მეტიც, მათ თვითონ გვითხრეს და ჩვენც დავთანხმდით, რომ ურთიერთთავდასხმები არ იყოსო.

— რატომ არღვევენ რესპუბლიკელები ამ პირობას, რით ახსნით მათ ასეთ აგრესიულობას, როგორც თქვენ უწოდეთ...

— რესპუბლიკელები ფაქტობრივად ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ ალიანსის ლიდერს ალასანიას და მემარჯვენეებსაც. ჩვენ სიტყვა გვაქვს ნათქვამი ერთმანეთისთვის, რომ ურთიერთთავდასხმები არ იქნებოდა, ისინი არღვევენ ამ შეთანხმებას ფაქტობრივად, იგნორირებას უკეთებენ ამ გადაწყვეტილებას, ძალიან უხერხულია ჩემის მხრიდან ამაზე საუბარი. მიუხედავად ამისა, ვინაიდან უმრავლესობა, ალიანსის ორი მესამედი იცავს აქტს თავდაუსხმელობისა, ჩვენ რესპუბლიკელებსაც შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფით არ ვპასუხობთ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

— გარდა რესპუბლიკელებისა სხვებმაც უარყოფითად შეაფასეს ნოღაიდელის თქვენს ერთობასთან ალიანსი, ძალიან ბევრს არ მოეწონა, რომ ის თქვენ გვერდით დადგა. ოპოზიცია მის მოსკოვურ ვიზიტებს უარყოფითად აფასებს, რატომ აღმოჩნდა ნოღაიდელი თქვენ გვერდით?

— მარტივი მიზეზის გამო, მან თანხმობა განაცხადა პრაიმერში მონაწილეობის მიღებაზე. ყველა, ვინც პრაიმერში მონაწილეობას მიიღებს, გარკვეული თვალსაზრისით ჩვენ ერთად აღმოვჩნდებით, მაგრამ პრაიმერის, ანუ წინასწარი არჩევნების თავისებურება სწორედ ისაა, რომ სულაც არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ერონი ვართ და ერთ აზრზე ვართ და ერთ იდეოლოგიას, ან ერთ მიმართულებას ვიზიარებთ. ამიტომ ნოღაიდელს თავისი გზა აქვს და ეს გზა რუსეთისკენ მიდის, ჩვენი გზა საქართველოში რჩება, ალიანსის გზა ამერიკისკენ მიდის და ვიმეორებ, ჩვენ საქართველოში ვრჩებით. აი, ეს არის სერიოზული განსხვავება, ამის მიუხედავად, ჩვენ მზად ვართ, ყველა ორიენტაციის პოლიტიკურ პარტიასთან პატიოსანი შეჯიბრი და პატიოსანი კონკურენცია გავმართოთ. მე როცა დავდივარ მოსახლეობასთან შესახვედრად, მოვუწოდებ, რომ ხმა მომცენ მე და არა ნოღაიდელს. ნოღაიდელი ჩემი კონკურენტია პრაიმერზე და არა მეგობარი.

— მხოლოდ პრაიმერმა გაგაერთიანათ?

— პრაიმერი შეჯიბრია ამავდროულად და ამ ერთ ჩემპიონატში ვმონაწილეობთ.

— ისიც ითქვა, რომ პრაიმერისთვის საჭირო თანხები ძირითადად ნოღაიდელისგან მოდის და ამიტომაც დგას თქვენ გვერდით...

— ეს არ არის სწორი, თანხა წამოვა პარიტეტულად ყველა იმ პარტიისგან, ვინც მონაწილეობას მიიღებს და ეს თანხა არ იქნება ძალიან დიდი, იმიტომ, რომ ჩვენი წარმომადგენელები ამ საპრაიმერო კომისიებში ხელფასს ნამდვილად არ მოითხოვენ და ყველაფერი ის, რაც ხელფასით კეთდება სახელმწიფო არჩევნების დროს, აქ გაკეთდება ენთუზიაზმით, ხელფასის გარეშე. სხვა ხარჯები ბევრად მცირეა, სახელფასო ხარჯებს მიაქვს ხოლმე დიდი თანხა.

— ნოღაიდელი ასოცირდება რუსეთთან და რუსულ ფულთან...

— კი, უდავოდ ასეა.

— და ეს მისაღებია თქვენთვის?

— არ არის მისაღები, ამიტომ მოვუწოდებ ამომრჩეველს, რომ მე მომცენ ხმა და არა ნოღაიდელს.

— ნოღაიდელის განცხადებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა სახელისუფლებო გუნდში, მან განაცხადა, რომ არჩევნების გაყალბება აჯანყებით და ამ ხელისუფლების დამხობით დასრულდებაო...

— ეს განცხადება მე გავაკეთე წელიწად-ნახევრით ადრე, მაგრამ პატენტს არ ვითხოვ. 2003 წელს ამ გზით მოვიდა საააკაშვილი ხელისუფლებაში და თუ თვითონ მოვიდა ამ გზით, მაშინ ამ გზით წასასვლელადაც მზად უნდა იყოს.

— მაგრამ საკითხავი ის არის, თუ დაუშვებს ამას ხელისუფლება?

— არც ჩვენ არ დავუშვებთ კანონდარღვევას და სიყალბეს მათი მხრიდან და თუ იკადრებენ, მოხვდებათ ცხვირში.

— როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციამ წააგო ეს არჩევნები და კვლავ გიგი უგულავა გახდა თბილისის მერი?

— გააჩნია როგორ წააგო, თუ ვერ გაერთიანდა და ისე წააგო, თუ გაყალბებაც არ დასჭირდა ხელისუფლებას, ისე წააგო, მაშინ არანაირი სამოქმედო გეგმა გამოსვლებისა არ იქნება; ეს იქნება ჩვენი ბრალი და არა სხვისი, მაგრამ თუ ოპოზიცია გაერთიანდა, ეყოლა ერთიანი კანდიდატი და ხელისუფლებამ იძალადა და გააყალბა არჩევნები და უსამართლოდ მოიგო, ასეთ შემთხვევაში ძალიან ადეკვატური პასუხები იქნება.

ხელისუფლებას კობალაძის დიდი ავტორიტეტის შეეშინდა

შორეულაჯიღაშვილი



მუხროვანის ამბოხების სახელით ცნობილ გახმაურებულ საქმეში გენერალი კობა კობალაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა, თუმცა ანალოგიური ბრალდებით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა ოთანაძის მიმართ, რომელსაც სასჯელის ზომად 29-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა, ამირიძეს — 28 წელი, გორგიაშვილს — 19, დანარჩენებს კი 3-დან 11 წლამდე პატიმრობა მიესაჯათ.

მუხროვანში მომხდარი ინციდენტი ოპოზიციისა და სამხედრო ექსპერტების მიერ თავიდანვე შეფასდა, როგორც დაუმორჩილებლობა, თუმცა ხელისუფლება ჯიუტად აცხადებდა, ამ სამხედროებსა და გენერლებს ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა უნდოდათ და აქ რუსული კვალიაო. ითქვა, თითქოს მუხროვანის ე.წ. ამბოხებულებს რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე აფინანსებდა.

სამხედრო ექსპერტი ნოდარ ეფრემიძე აცხადებს, რომ მუხროვანის ამბოხებულთა სახელით ცნობილი სამხედროები გმირები არიან და მათ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა რომ მართლა სდომებოდათ, ამას აუცილებლად შეძლებდნენ.

— ეს იყო სპეკტაკლი, რომლის რეჟისორი, ავტორი და სცენარისტები არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა, — აცხადებს სამხედრო ექსპერტი და დარწმუნებულია, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ვერ შეძლო სამხედრო სფეროში ისეთი ავტორიტეტების იმიჯის დაცემა, როგორებიც არიან კობა კობალაძე, ოთანაძე, ამირიძე, გორგიაშვილი და სხვები.

სამხედრო ექსპერტის მსგავსად, მუხროვანის ამბოხების არარსებობაზე საუბრობს კობალაძის ადვოკატიც. გელა ნიკოლაიშვილის თქმით, პროკურატურამ ვერ შეძლო კობალაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის იმ დონეზე „შეკერვა“, რომ ხელისუფლებას ავტორიტეტი კობალაძე ციხეში 30 წლით გამოემწყვდია, რასაც სიამოვნებით გააკეთებდა.

რაც შეეხება თავად გენერალ კობა კობალაძეს, ის ამ ეტაპზე პრესასთან ურთიერთობისგან თავს იკავებს. ცნობილია, რომ ის ამ დროისთვის პოლიტიკაში წასვლაზე არ ფიქრობს.

რას ნიშნავს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, არის თუ არა ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და კითხვის ნიშნის დადგა თუ არა საერთოდ ამ განაჩენით მუხროვანში ამბოხების ფაქტი? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს გენერალ კობა კობალაძის ადვოკატ **გელა ნიკოლაიშვილთან.**

— ბატონო გელა, რას ნიშნავდა ე.წ. მუხროვანის ამბოხებასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და გენერალ კობალაძის გამართლება?

— მთლიანობაში, განაჩენი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ხასიათის იყო. გამომდინარე იქიდან, რომ დეტალურად ვიცნობ საქმის მასალებს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არანაირ ამბოხებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. ნაწილობრივ ეს იმანაც დაადასტურა, რომ თითქმის ნახევარზე მეტს განსასჯელებიდან ბრალად ჰქონდა წაყენებული ამბოხება და საბოლოოდ მოსამართლე კოპალიანმა, სამის გარდა, ბრალი ყველას გადაუკვალიფიცირა დაუმორჩილებლობაზე. საბოლოოდ სასამართლოს განაჩენში დარჩა სამი ადამიანი — ოთანაძე, ამირიძე და გორგიაშვილი, რომლებსაც სასამართლომ დაუფოთა ამბოხების მცდელობა. მათ ყველაზე დიდი სასჯელი დაუდგინა — 29, 28 და 19 წელი. რაც შეეხება კობა კობალაძის მიმართ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს, ბუნებრივია, ძალიან გასაკვირია ასეთ მძიმე ბრალდებაში ბრალდებული პირის გამართლება ამ ხელისუფლების პირობებში. ამას თავისი ახსნა აქვს. როგორც ჩანს, თავიდან პროკურატურამ არ იზრუნა იმაზე, რომ მოეძებნა თუნდაც ცრუ მოწმეები და ყალბი მტკიცებულებები შეექმნა. საქმის გამოძიება სიჩქარეში ხდებოდა. 41 ბრალდებული იყო და ორ თვეში უნდა დაემთავრებინათ წინასწარი გამოძიება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადვილი იქნებოდა ბრალის დამტკიცება. არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ ეს საქმე ასე გახმაურდებოდა. არ ფიქრობდნენ იმაზეც, რომ ასეთი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი იქნებოდა იმ ერთადერთი ბრალდების მოწმის, გია ღვალაძის, ჩვენებები, რომელიც თითქოს კობა კობალაძეს ამხელდა. უკვე სასამართლოში მოსულ საქმეში ძალიან გაუჭირდათ და ვეღარ გაბედეს ახალი მტკიცებულებების შემოტანა. ეს ძალიან აშკარა იქნებოდა. ასე რომ, არც ის, რასაც ესენი მტკიცებულებებს ეძახიან, არ იყო კობალაძის მიმართ, მაგრამ, რაც იყო, ისიც ხელიდან გამოეცალათ. შევეცადეთ, მაქსიმალურად გაშიშვლებულიყო ის ტყუილები, რომლებსაც გია ღვალაძე ამბობდა. რაც მთავარია, საერთაშორისო ზეწოლა, შიდა ზეწოლა და ის იმიჯი, რომელიც დღეს აქვს ხელისუფლებას, გახდა იმის მიზეზი, რომ ასეთი განაჩენი დამდგარიყო. დღეს საკაკაშვილს რეპუტაცია ძალიან შერყეული აქვს. მის ყოველ ნაბიჯს, როგორც არადემოკრატიულ ხელისუფლისა, გამადიდებელი შუშით უყურებენ. ეს განაჩენი რომ არ დამდგარიყო, ძალიან წამგებიანი იქნებოდა დასავლეთის თვალში. ამ ყველაფერმა ერთად, როგორც ჩანს, გაანაპირობა ის, რომ ვერ გარისკეს აშკარად ჰაერზე მოტანილი ბრალდებებზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა გენერალ კობალაძის მიმართ. გადაწყვიტეს, რომ პირიქით, საკუთარი იმიჯისთვის გამოეყენებინათ ეს განაჩენი და დღეს უკვე ისმის — ნახეთ, სასამართლო რა დამოუკიდებელიაო. თავის დროზე პრეზიდენტი ამბობდა, ეს კაცი დამნაშავეა და უნდა მოვაცილოთო. პრეზიდენტის ეს სიტყვებიც ჰაერში დარჩა და არ გაიზიარა დამოუკიდებელმა მოსამართლემ.

— თუკი საქმე გია ღვალაძის ჩვენებაზე იყო აგებული, მხოლოდ კობალაძის ნაწილში რატომ ვერ დამტკიცდა ბრალი?

— ღვალაძის ჩვენებებზე დამყარებული იყო მხოლოდ კობალაძის ბრალი. იყო სხვა მოწმეების ჩვენებებიც, რომლებსაც ასევე შეუთანხმდნენ, მაგალითად, ძმებ ზარიქაშვილებს და უთხრეს, არ დაგაპატიმრებთ, ოთანაძესა და ამირიძეზე მოგვეცით ჩვენებაო. ასეთი გარიგებები და ვაჭრობები იყო. რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, რომლებთანაც კურიოზული ვითარება შეიქმნა, მათ სასამართლომ მოუხსნა ამბოხებაში მონაწილეობის ბრალდება და გადაუკვალიფიცირა დაუმორჩილებლობაში. შეიძლება აქ დიდი განსხვავება არ არის, რადგანაც ამბოხება 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, დაუმორჩილებლობა — 7-დან 12 წლამდე, მაგრამ აქ ერთი მომენტია: დაუმორჩილებლობა ეხებათ სამხედრო პირებს, ისინი კი, ვინც არ უნდა დამორჩილებოდნენ, სამხედრო პირები არ იყვნენ, მაგრამ სასამართლომ მაინც დაადგინა ასეთი განაჩენი. მათ გამართლებაზე სასამართლო ვეღარ წავიდა, რადგან ისინი ბევრნი იყვნენ. მათ თითო წელი დაუმატეს აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვის მცდელობისთვის. ეს აბსურდული, ნოვატორული ფორმულირებაა. როგორ შეიძლება იარაღის შენახვის მცდელობა. იარაღს ან ინახავ, ან — არა. იურიდიულად ეს ნონსენსია.

— მართლა მოუხადა ბრალდების მთავარმა მოწმემ, გია ღვალაძემ, ბოდიში კობა კობალაძეს ცრუ ბრალდებისთვის?

— რა თქმა უნდა. გია ღვალაძემ პირდაპირ თქვა, ჩემზე არის ზეწოლა და კობა კობალაძეზე რაც ვთქვი, ყველაფერი ტყუილიაო. ეს სიტყვები გია ღვალაძემ კობალაძეს მისწერა და ეს წერილი ღვალაძის ადვოკატმა ჩვენ გადმოგვცა. მე პირდაპირ ვიტყვი — ჩვენ მოვითხოვდით ადვოკატისგან, ღვალაძეს ჩვენთვის მოეცა ეს წერილი, იმიტომ რომ ღვალაძე ადვოკატის საშუალებით გვითვლიდა, იძულებული ვარ, სიცრუე ვთქვა და სასამართლოზე სიმართლეს ვიტყვიო. ჩვენი პოზიცია ასეთი იყო — თუ ასეა, მაშინ დაწეროს ღვალაძემ ეს ყველაფერი, რათა შემდგომში სასამართლოზე წარდგენის საშუალება გვქონდეს. არ გვეგონა, რომ ღვალაძე ამას სერიოზულად ამბობდა. ჩვენთვის მოულოდნელად, ღვალაძემ ეს დაწერა და სასამართლოზე ადვოკატის მეშვეობით გადმოგვცა. როგორც ჩანს, ღვალაძეზე პროკურატურის მხრიდან ზეწოლა იყო და სასწრაფოდ გამოაცვლევინეს ადვოკატი. ამის შემდეგ იძულებული გავხდით, ეს წერილი გამოგვეჩინა. როცა სასამართლომ ჰკითხა ღვალაძეს, იყო თუ არა ეს წერილი მისი დაწერილი, თავიდან უარყო, მაგრამ, როცა კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება მოვითხოვეთ, მეორე სასამართლო პროცესზე ღვალაძემ თქვა, არ არის საჭირო, ჩემი დაწერილიაო. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, როცა პატიმრები ბადრაგს გაჰყავდა, რამდენჯერმე ღვალაძემ ბოდიშიც მოუხადა კობალაძეს და უთხრა, რა ვქნა, ბატონო გენერალო, ასეთ დღეში ვარო. კობალაძე მიაძახებდა ხოლმე, შე საცოდავო, ღმერთის არ გეშინიაო?! კობალაძის წინააღმდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობის გამო იმედი მქონდა, რომ, ზეწოლის მიუხედავად, კობალაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა. არ გამოვრიცხავ, კულუსებში იყო ამაზე მსჯელობა, რომ პროკურატურისა და ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან მოსამართლემ თქვა თავისი პოზიცია, რომ ძალიან გაუჭირდებოდა და აბსოლუტურად უსამართლო იქნებოდა კობალაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მაგრამ, თუ ხელისუფლება მოინდომებდა და ეტყოდა, არა, შენ მაინც უნდა გააკეთო, რა თქმა უნდა, კოპალიანიც და სხვა მოსამართლეც, სამწუხაროდ, თანახმა იქნებოდნენ, არათუ გამამტყუნებელი და 12-წლიანი, არამედ, თუ უბრძანებდნენ, 25 და 30-წლიანი სასჯელიც გამოეტანათ.

— რას ნიშნავს იარაღის ნაწილში კობალაძის ბრალდებულად ცნობა?

— კობალაძეს იარაღი რომ ჰქონდა, ამას ის არ უარყოფს. კობალაძე არ ამბობს, რომ ვინმეს იარაღი ჩაუდო. ლაპარაკია ორ ყუმბარაზე დაშლილ მდგომარეობაში და ერთ პისტოლეტზე, ისიც გაფუჭებულია. მან ახსნა, რომ ეს პისტოლეტი მას გადასცა მისმა ბიძაშვილმა, რომელიც იქაური ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები იყო. როდესაც ომი დამთავრდა თუ მანამდე, ზუსტად არ მახსოვს, მან გადმოსცა ეს იარაღი, შემინახეო. დღეს ის ადამიანი ტყვეობაშია. ის არის სამხედრო ტყვე და დღესაც ცხინვალის ციხეში ზის. რაც შეეხება ორ ხელყუმბარას, ის იყო წამოღებული აგვისტოს მოქმედებების დროს. მაშინ კობალაძე ცხინვალის რეგიონში ომში წავიდა მოხალისედ, ფაქტობრივად, რიგითად. ზურგჩანთა მაშინ მისცეს იარაღებით, როგორც რეზერვისტს. იქ იყო ეს ორი ხელყუმბარაც. მან ყველაფერი უკან ჩააბარა, უფრო მეტიც, უამრავი დაყრილი და მიტოვებული იარაღი და ავტომატი ჩამოიტანა და ჩააბარა. უბრალოდ, ზურგჩანთა წამოიღო და იქ ჩარჩა ეს ორი ხელყუმბარა, დაშალა და სეიფში ინახავდა სხვა იარაღებთან ერთად. გენერალ კაცს, რომელსაც აქვს იარაღის არათუ შენახვის, ტარების უფლებაც, იარაღის უკანონოდ შენახვისთვის ასამართლებენ. რეალურად კი მას ათეულობით გაფორმებული იარაღი აქვს. მე ვთვლი, რომ ეს არ არის სისხლისსამართლებრივი დონის დანაშაული. ეს, მაქსიმუმ, ადმინისტრაციულ დანაშაულს შეიძლება ექვემდებარებოდეს. შეიძლებოდა, სასამართლოს ამ ნაწილში კობალაძისთვის ჯარიმა დაეკისრებინა.

— იარაღის უკანონოდ შენახის ნაწილში სასამართლოს განაჩენს გაასაჩივრებთ?— ამის თაობაზე მოვითათბირებთ. რა თქმა უნდა, დაცვის მხარეს საშუალება არ აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ თანახმა კობა კობალაძე არ იქნება. გასაჩივრების ვადა ერთი თვე ანუ 11 თებერვლამდეა. ამ პერიოდში ჩამოვყალიბდებით.

— გამორიცხავთ, რომ თავად პროკურატურამ გასაჩივროს კობალაძის გამამართლებელი განაჩენი საპელაციო სასამართლოში? ფაქტია, ამ ბრძოლაში პროკურატურამ წაგა.

— ჩვენ ამასაც არ გამოვრიცხავთ.

— პროკურატურა უკმაყოფილო უნდა იყოს განაჩენით, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პოზა ჰქონდათ პროკურორებს. ასეა თუ ისე, კობალაძის გამართლება და სასამართლო დარბაზიდან გაშვება პროკურატურის მარცხია.

— კობალაძეს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევდნენ. კონკრეტულად ვინმეს მხრიდან პირად ანგარიშწორებაზე ხომ არ საუბრობდა?

— როდესაც გვარდიის სარდალი იყო და მან პირველი აღლუმი ჩააბარა ახალ ხელისუფლებას თბილისში და ბათუმში ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის დროს, ბრძოლა მაშინვე დაუწყეს. კობალაძემ მაშინვე დაწერა პატაკი, ღირსება დაიცვა და თავისი ნებით წამოვიდა. კობალაძის წამოსვლის შემდეგ მისი კადრები, ფაქტობრივად, გაანადგურეს. არ დატოვეს სამსახურში არავინ, ვისაც კობალაძის გვერდით გაუვლია. განსაკუთრებით ეს ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს ხდებოდა. საერთოდ, ვინც კი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, ყველამ ძველი კადრები გაყარა და ახლები მიიყვანა. ამიტომაც არის ჩვენი ჯარის საქმე ასე კარგად. კობალაძეს რომ ვინმეს პირად მტროობაზე ეჭვი ჰქონოდა, ასე არ ყოფილა, მაგრამ მთლიანად ხელისუფლების მისდამი დამოკიდებულება იყო ისეთი, რომ რატომღაც ძტრად მიიჩნევდნენ. არადა, ის განერიდა. არც პოლიტიკაში წასულა, პატარა ბიზნესში იყო ჩართული, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას კობალაძის დიდი ავტორიტეტის ეშინოდა.

— დღეისათვის კობალაძეს სამშობლოს მოღალატი იარლიყით მოიხსენიებენ თუ ძველი ავტორიტეტი შერჩა?

— ავტორიტეტების შერყევა რომ უნდათ ყველა სფეროში, მათ შორის, სამხედროში, ფაქტია. კობალაძის შემთხვევაში ეს არ გამოუვიდათ.

ილია მეორე: ის, ვინც ბოროტებას აკეთებს, ამას თავის თავს უკეთებს

გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საპატრიარქო ტაძარში ტრადიციულ საკვირაო წირვა-ლოცვა აღავლინა, რომლის შემდეგაც იქადაგა და მრევლს სიკეთისა და მშობლებისადმი პატივისცემისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

— ჩვენ ერი რამ უნდა ვიცოდეთ: ვინც რას აკეთებს, საკუთარ თავს უკეთებს. ბოროტებას აკეთებს — თავის თავს უკეთებს, სიკეთეს აკეთებს — თავის თავს უკეთებს. როგორც შენ მშობლებს მოექცევი, ისევე მოგექცევიან შენი შვილები,— ბრძანდა ქადგებისას უწმინდესმა.

წირვის შემდეგ ილია მეორემ ქართული გვარები - ჩახავები, ბექაურები, ილურიძეები, დიდებაშვილები, ჩიქოვნები, ანლები, შამფაიები, ბუაჩიძეები და დამენიები დალოცა.

ჭყონისელი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

უკრაინაში ამომრჩევლები პასიურობდნენ

გუშინ დღის პირველი ნახევრის მონაცემებით, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 15,94% შეადგინა.

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით წელს ამომრჩეველთა აქტივობა გაცილებით დაბალია. კერძოდ, 2004 წელს იგივე მაჩვენებელი დღის 11:00 საათისთვის - 19,9 %-ს, 1999 წელს კი - 30%-ს შეადგენდა.

უახლოეს პერიოდში დღის მეორე ნახევრის მონაცემებიც გამოქვეყნდება. კიევის დროით 20:00 საათზე, საარჩევნო შტაბების დახურვის შემდეგ კი საზოგადოებისთვის წინასწარი შედეგები გახდება ცნობილი.

რაც შეეხება დარღვევებს, მასზე უკვე საუბრობენ იულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენელები. მათი თქმით, კიევის ოლქში, იქ სადაც ტიმოშენკოს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს, არჩევნების ჩაშლას ცდილობენ. კერძოდ, ადგილი აქვს საარჩევნო კომისიის მუშაობის ბლოკირების მცდელობას და სხვა კანონდარღვევებს. ვიქტორ იანუკოვიჩის შტაბის დამკვირვებლების ინფორმაციით კი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უზუსტობა დაფიქსირდა და ერთ-ერთ საარჩევნო უბანს ცეცხლიც კი ნაუკიდეს, არჩევნები მაინც მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და განსაკუთრებულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

ბრეკი

რუსეთი უკრაინის არჩევნების ნებისმიერი შედეგისთვის მზად არის

რუსეთი უკრაინის არჩევნების ნებისმიერი შედეგისთვის მზადყოფნას აცხადებს. ამის შესახებ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა სერგეი მარკოვმა განაცხადა.

— რუსეთი მზად არის ნებისმიერი შედეგისთვის. ჩვენ ძალიან კარგად მოვემზადეთ და ყველაზე მთავარია, არჩევნები მშვიდად და სამართლიანად ჩატარდეს. ხალხის ნება რეალიზირებული უნდა იქნას, — განაცხადა მარკოვმა.

საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარ შედეგებს ხვადასხვა ეგზიტპოლები საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ გამოაქვეყნებენ, ხოლო საბოლოო შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისია 27 იანვარს გამოაცხადებს.

ბრეკი

დღეს გურჯაანის ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნება

დღეს კახეთში გურჯაანის ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნება.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე სულხან სიბაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, მსოფლიო ბანკისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელები დაესწრებიან.

კახეთის ახალგაზრდული ცენტრი პროექტის „ახალგაზრდობის განვითარება და ჩართულობა“ ფარგლებში იხსნება.

შეგახსენებთ, რომ, 2008 წლის 31 ივლისს საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შორის საგრანტო ხელშეკრულებას სახელწოდებით „ახალგაზრდობის განვითარება და ჩართულობა“ მოეწერა ხელი. პროექტს „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს. გრანტი საქართველოს 8 რეგიონში (გურჯაანი, გორი, მარნეული, ახალციხე, ზუგდიდი, ვარციხე, ლენტეხი, ამბროლაური) ახალგაზრდული ცენტრების ჩამოყალიბებას, ახალგაზრდა მეწარმეთა ბიზნეს განვითარებას და ადგილობრივ დონეზე მომუშავე ახალგაზრდული მუშაკების უნარების გაზრდას ითვალისწინებს.

ბრეკი

არიან თუ არა უკრაინაში ჩასული ქართველი დამკვირვებლები სპეცრაზმელები

ანუკოვიჩის პარტიამ დამკვირვებლების წინააღმდეგ ოპოზიციის დადო

თეამარი □ ე

ეს ქართველები მაგარი „ინტერესნი ნაროდი“ ვართ. თუ არა ჩვენ, ვის მოუვიდოდა თავში აზრად სხვა ქვეყანაში დამკვირვებლობის ძალად გაგზავნა. ერთი-ორი დამკვირვებელი რომ გაგვეგზავნა, არავინ დაგვძრახავდა, ჩვენ კი ლამის მთელი პოლკი გავგზავნეთ.

ამას დიდი წივილ-კივილი მოჰყვა. ცალკე უკრაინაში ინერვიულეს, ცალკე — საქართველოში. ჩვენი ხელისუფლება ქართველი დამკვირვებლებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას ყველანაირად ცდილობდნენ. ყველაფერს აკეთებდა ამისთვის ყოვლისშემძლე გივი თარგამაძეც, რომელიც უკვე დიდი ხანია უკრაინაში იმყოფება. ჩვენი ოპოზიციისთვის რომ გეკითხა, თარგამაძეს სააკაშვილის შიშით უკრაინაში „პაბეგი ჰქონდა აწეული“, ის კი იქ საპატიო მისიით ყოფილა.

აღრე ასეთი საქმეების მოკვარახჭინებას გივი თარგამაძე კარგად ახერხებდა, ახლა კი რაღაც გაუჭირდა. უკრაინის ცესკომ ქართველებს დამკვირვებლის სტატუსი არ მიანიჭა.

ქართველები რისი ქართველები ვართ, რომ ასე იოლად დაგვეყარა ფარ-ხმალი. ჩვენებურებმა უკრაინაში საარჩევნო უბნებზე დაკვირვება მაინც შეძლეს, თუმცა ეს ზოგიერთ მათგანს ძვირად დაუჯდა.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები სეროზული ინტრიგის შემცველი მოვლენა აღმოჩნდა. ამ არჩევნებს ინტრიგა ქართველმა დამკვირვებლებმა უფრო მეტად შესძინეს. ამ დღეებში უკრაინული და რუსული მედია ძირითადად ქართველ დამკვირვებლებზე საუბრობს. მოსკოვშიც და კიევშიც გაიძახიან, დაუპატიჟებელი სტუმარი გამიგია, მაგრამ დაუპატიჟებელი დამკვირვებლები — არაო.

მერე გაირკვა, რომ ეს ჩვენებური დამკვირვებლები სინამდვილეში სპეცრაზმელები ყოფილან. ამის შესახებ პირველი ინფორმაცია რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს.

როგორც რუსული სააგენტო „რია ნოვოსტი“ იტყობინება, უკრაინაში ჩასული ქართველები სპეცსამსახურებთან დაახლოებული სტრუქტურების თანამშრომლები არიან. რუსულ სააგენტოს აღნიშნული ცნობა ქართულმა ოპოზიციამ მიაწოდა.

— ამ ცნობის მიხედვით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო მოსამსახურეა, ზოგიერთ მათგანს სხვა გვარ-სახელზე შედგენილი დოკუმენტები აქვს, ყველას ხელჩართული ბრძოლის სფეროში სპეციმომზადება აქვს გავლილი, — იუწყება სააგენტო „რია ნოვოსტი“.

ქართველებმა ოპოზიციონერებმა ის თანხაც დაასახელეს, რომელსაც არჩევნებში დამკვირვებლებად წასულ ქართველებს გადაუხდიან.

— უკრაინაში ჩასვლისთვის ქართველები 20-იდან 32 ათას დოლარს მიიღებენ, ტრავირების შემთხვევაში კი დამატებით დაჯილდოვდებიან, — ვკითხულობთ რუსული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ცნობაში.

რუსული სააგენტო ვარაუდობს, რომ უკრაინის პრეზიდენტის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება იქნება საჭირო. „ნოვოსტი“ ქართულ ოპოზიციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ისინი სწორედ მეორე ტურში იაქტიურებენ.

„რია ნოვოსტი“ მხოლოდ ქართული ოპოზიციის ინფორმაციას არ დასჯერდა და ეს ცნობა უკრაინულ მხარესთანაც გადაამოწმა. ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებით „ნოვოსტის“ საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა „რეგიონების პარტიის“ წარმომადგენელმა ბორის კოლესნიკოვმა.

— 15 იანვარს თბილისიდან დონეცკში ორი ჩარტერული რეისი ჩაფრინდა, რომელთაგან ერთმა — 152, მეორემ კი 145 მგზავრი ჩაიყვანა. ყველა მათგანი მამაკაცი იყო. მათი ასაკი 25-40 წელია. ყველა სპორტული აღნაგობისაა, — აცხადებს ბორის კოლესნიკოვი.

მისი მტკიცებით, კიდევ ერთმა ჩარტერულმა რეისმა თბილისიდან კიევში 120 სპორტული აღნაგობის მამაკაცი ჩაიყვანა.

ხელისუფლება ამ ინფორმაციას მონაგონს უწოდებს და ვერაფერს ცუდს ვერ ხედავს იმაში, თუ ქართველ დამკვირვებლებს სპორტული აღნაგობა ექნებათ. ისე, სადაც ჩვენს მეეზოვეებს აქვთ სპორტული აღნაგობა და საბრძოლო გამოცდილება, რა გასაკვირია, იგივე მონაცემები უკრაინაში წასულ ქართველ დამკვირვებლებსაც ახასიათებდეთ.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ ოპოზიციის მიტინგი ორჯერ დაარბიეს „მეეზოვეებმა“. ჩვენი ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ დამკვირვებელთა შორის ის „მეეზოვეებიც“ იყვნენ, რომლებიც ცოცხის მაგივრად რატომღაც ხელკეტებს ხმარობდნენ.

ოპოზიცია შიშობს, რომ ჩვენი ხელისუფლების ეს ქმედება საქართველოს მომავალში პრობლემებს შეუქმნის. ზურაბ ნოღაიდელი ხელისუფლებას ურჩევს, თავი დანებოს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას.

— ჩვენი ამოცანაა, ნებისმიერ ხელისუფლებასთან, რომელსაც უკრაინელი ხალხი აირჩევს, საქართველოს ჰქონდეს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა, სააკაშვილის მხრიდან ცალკეული უკრაინელი პოლიტიკოსების ღია მხარდაჭერა და ათასობით ფსევდო-დამკვირვებლის გაგზავნა კი საფრთხის შემცველია საქართველო-უკრაინის ურთიერთობებისთვის, — მიჩნევს ზურაბ ნოღაიდელი.

ნოღაიდელის მოსაზრებას აბსოლუტურად იზიარებენ დანარჩენი ოპოზიციონერებიც. მათი თქმით, ჩვენი საქმე არ არის, ვინ გაიმარჯვებს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ არჩევნების შედეგები კი მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ბედს.

ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებით გუშინ მთელი დღის განმავლობაში წივილ-კივილი არ ცხრებოდა. განცხადებებს ერთმანეთის მიყოლებით აკეთებდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები.

განცხადებები ქართველი დამკვირვებლების ცემასთან დაკავშირებითაც ვრცელდებოდა. ბოლო ორი დღის განმავლობაში უკრაინაში საქართველოს რამდენიმე მოქალაქეს სცემეს. ცემას ვერც ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლები გადაურჩნენ.

განსაკუთრებით ცუდად ქართველ დამკვირვებლებს დონეცკში შეხვდნენ. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ განაცხადეს იქაურებმა, მთვრალ ქართველებს ბიულეტენებს არ დავახვევინებთო.

საქართველოს მოქალაქეებს ფიზიკურად დონეცკის ერთ-ერთ საბილიარდო კლუბშიც გაუსწორდნენ. როგორც უკრაინული მედია იუწყება, საქართველოს ორ მოქალაქეს „რეგიონების პარტიის“ წევრებმა სცემეს. „რეგიონების პარტიის“ თავკაცი პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იანუკოვიჩი გახლავთ.

მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთეს „რეგიონების პარტიის“ წარმომადგენლებმა. მათი მტკიცებით, ჩხუბის პროვოცირება თავად ქართველებს მოუხდენიათ.

— საბილიარდო კლუბ „კლასიკში“ მყოფი საქართველოს მოქალაქეები აგრესიულად და გამომწვევად იქცეოდნენ. მათ იქ მყოფ ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენეს. ჩხუბის დაწყებება მათ ქმედებებს მოჰყვა, — განაცხადეს „რეგიონების პარტიაში“.

ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებით „რეგიონების პარტიამ“ კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გააგრცელა. ამ ცნობის მიხედვით, ქართველი დამკვირვებლები უკრაინას შტაბგარეშე კორესპონდენტების სტატუსით მოედნენ.

— თბილისიდან ჩასულ ქართველებს გაზეთების „უირადის კურიერის“, „მოლოდოგვარდეეცის“, „ვეჩერნე ნოვოსტისა“ და „კრასნოარმეეცის“ ჟურნალისტის დამადასტურებელი მოწმობები აქვთ და საარჩევნო უბნებში შეღწევას ცდილობენ, — იუწყებოდნენ გუშინ „რეგიონების პარტიიდან“.

ქართველმა დამკვირვებლებმა „რეგიონების პარტიას“ კინაღამ სულ დაავიწყა ვიქტორ იანუკოვიჩი. მთელი დღის განმავლობაში ისინი განცხადებებს გაკეთებდნენ ავრცელებდნენ.

მათთვის უმაღლესი რადას დეპუტატმა ლეონიდ კოჟარამაც მოიცალა. მისი თქმით, დონეცკში მყოფი ქართველები ძალიან ცუდად იქცევიან და რამდენიმე უბანზეც კი სცადეს შეჭრა.

რადას დეპუტატის მტკიცებით, რამდენიმე უბანზე ქართველები ისე შეეიდნენ, არანაირი საბუთი არ წარუდგენიათ. მართალია, კოჟარა ქართველების ქმედებით აღშფოთებულია, მაგრამ გვპირდება, რომ შეიძლება დამკვირვებლის სტატუსს ვეღირსოთ.

— იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე ნორმალურად წარადგენს დოკუმენტაციას, უკრაინის ცესკო მათ არჩევნების მეორე ტურისთვის დაარეგისტრირებს, — აცხადებს კოჟარა.

რადას დეპუტატი ქართულ მხარეს წესიერად მოქცევას ურჩევს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ის სათანადო ზომების მიღებით გვიმუქრება.

— იმედია, ქართველები წესიერად მოიქცევიან და იმოქმედებენ ისე, როგორც დამკვირვებლებს შეეფერებათ. იმ შემთხვევაში, თუ ქართველები არჩევნებში წესიერად არ მოიქცევიან და პროვოკაციებს მოაწყობენ, სათანადო ზომებს მივიღებთ. „რეგიონების პარტია“ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესებას მოითხოვს, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა კოჟარამ.

ქართველი დამკვირვებლების ცემასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთეს იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის შტაბებმაც.

იულია ტიმოშენკოს ბლოკი ოფიციალურ განცხადებაში ამტკიცებს, რომ დონეცკში ქართველებს იანუკოვიჩის მომხრეებმა სცემეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილისა და იულია ტიმოშენკოს სატელეფონო საუბარი გამოაქვეყნეს, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ტიმოშენკოს სწორედ კუნთმაგარ ქართველებზე ესაუბრებოდა.

ქართველებთან დაკავშირებულ გუგუბროობაზე ყველაზე მოზომილი კომენტარი გააკეთა უკრაინის ჯერაც მოქმედმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ.

— ვწუხვარ, რომ ჩვენს საყვარელ ხალხს არჩევნებში მანიპულაციისთვის იყენებენ, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებით უკრაინის შსს-საც მოუხდა განცხადებების გაკეთება.

უკრაინის შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვლადიმირ მაევსკომ კიევში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ დადასტურდა უკრაინაში საქართველოს ელჩ გრიგოლ ქათამაძის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო უბნებში მყოფ ქართველებს ადგილობრივი მედიის შტატგარეშე თანამშრომლების მოწმობები ჰქონდათ.

— ქართველების დაკავებით დონეცკის მილიციამ შეცდომა დაუშვა, რადგან მასმედიის შტატგარეშე თანამშრომლებს საარჩევნო უბნებზე ყოფნის უფლება აქვთ, — განაცხადა მაევსკომ.

ქართველი დამკვირვებლები შტატგარეშე ჟურნალისტების რანგში რომ დაიარებოდნენ, ეს ინფორმაცია გივი თარგამაძემაც გააყღერა. მან ის მიზეზებიც განმარტა, თუ როგორ აღმოჩნდნენ დამკვირვებლები უშტატო კორესპონდენტები.

— მიუხედავად სასამართლოს ორი გადაწყვეტილებისა, უკრაინის ცსკ-ს ქართველი დამკვირვებლები ოფიციალურად დაერეგისტრირებინა, საარჩევნო უბნებზე შესვლის საშუალება მაინც არ მოგვცეს. ამის შემდეგ ჩვენ დახმარებისთვის მედიას მივმართეთ, რათა, დარეგისტრირებულიყავით, როგორც აკრედიტებული ჟურნალისტები. რამდენიმე ადგილობრივი მედია-საშუალება გამოგვეხმაურა და აკრედიტაცია მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ კანონით მედია-საშუალებების წარმომადგენლებს არჩევნების პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ, საარჩევნო უბნებზე მაინც არ დაგვიშვეს, თუმცა ამ დროისთვის სიტუაცია შეიცვალა. ამას ქართველების დაპატიმრებები დაერთო. 20-მდე ადამიანი იქნა დაკავებული. უკრაინაში საქართველოს საელჩო საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს, რის შედეგადაც ცსკ-ს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ ის, რაც ქართველ დამკვირვებლებთან მიმართებით ხდება, უკანონოა, — განუცხადა ქართველ ჟურნალისტებს გივი თარგამაძემ.

გუშინ საღამოს საგანგებო ბრიფინგი გამართა „რეგიონების პარტიის“ წარმომადგენელმა ვლადისლავ ლუკიანენემ. მან ქართველი დამკვირვებლები ბოევიკებად მოგვინათლა. უკრაინის რადას დეპუტატმა რამდენიმე ქართველი დამკვირვებელ-ბოევიკის ვინაობაც დაასახელა.

— ჩვენთან ჩამოსულ უცხოელ სპეცრაზმელთა შორის არიან სერგო ბეგიაშვილი, გიორგი კალანდარაშვილი, ზაზა ვაშაძე, ზურაბ ჯახაია, ზვიად ცნობილაძე, ირაკლი გოგია, ირაკლი ანდრონიკაშვილი და სხვები, — განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე დეპუტატმა.

დეპუტატის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ამ ადამიანებს სპეციალური მომზადება გააჩნიათ.

— ესენი არიან „ბოევიკები“, ისეთი ოპერაციის განმახორციელებლები, რომელიც მიმართულია ვითარების დესტაბილიზაციისკენ. მათ გააჩნიათ გამოცდილება ასეთი ოპერაციის ჩატარებისა არა მხოლოდ საკუთარ სამშობლოში, საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. „რეგიონების პარტია“ შეუფოთებას გამოთქვამს უკრაინაში არჩევნების დღეს ასეთი „სპეციალისტების“ ყოფნასთან დაკავშირებით, — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

ქართველი დამკვირვებლების თემა, ალბათ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება აქტიური სალაპარაკო როგორც საქართველოში, ასევე რუსეთსა და უკრაინაში.

უკრაინაში ქართველი დამკვირვებლები ბოევიკად აქციეს

გაგზავნეთ SMS ბრძანება 1456730 ან 1456730 ან 1456730 ნომერზე 30-30 და!ლარით ეგზემპლარად დაბრუნებთ ბრძანებულ ინფორმაციას ერთჯერადი!ამოცანისთვის!ფასი ნომერზე 30-30 და ფულიანი!ანგარიშიდან!ავტომატურად!ჩამოგეჭრებ!ლარს

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი!ბავშვებს!47!გაზეთი!ბავლეთი!ბავშვ

აფხაზებს ქართველების მიმართ სიმპათია გაუჩნდათ

მაგრამ ჯერჯერობით ისევ რუსეთი ურჩევნია

ინტერვიუ

ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

— ბატონო მამუკა, ითქვა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსეთის მიმართ წინააღმდეგობა და უარყოფითი დამოკიდებულება დღითიდღე იზრდება, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს და თუ ასეა, რამ განაპირობა ეს დამოკიდებულება?

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს არის ტოტალური უკმაყოფილების ზრდა, შეგვიძლია კლასიფიკაცია მივცეთ ამ ყველაფერს: არის საყოფაცხოვრებო დონეზე უკმაყოფილებები. უკმაყოფილება დაკავშირებულია რიგი სამხედროების არაეთიკურ საქციელთან ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, სასმელის თაობაზე, პროდუქტის თაობაზე და ასე შემდეგ, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არა აქვს. უკმაყოფილების მეორე კატეგორიაში შეიძლება შევიგანაოთ ის, რომ აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ერთი ნაწილი კარგად ხედავს, როგორი ხვალინდელი დღე ელოდება აფხაზურ ეთნოს საერთოდ და ამით არის განპირობებული მათი უკმაყოფილება. მესამე უკმაყოფილების ახალი მიზეზი გამოიკვეთა და ეს არის ის, რომ აფხაზური მოსახლეობის 70%-ს არ უნდა, რომ დაინყოს ნავთობმომპოვებელი სამუშაოები ოჩამჩირის შელტზე. ეს განპირობებულია იმით, რომ აფხაზები მიჩვეულები არიან ტურიზმს და მათ მიაჩნიათ, რომ ნავთობის ამოღება გამოიწვევს მომავალი ტურისტული სეზონის ჩაშლას. ისინი თვლიან, რომ ნავთობით გამდიდრდება ცალკეული პიროვნებები და რუსეთი მოითბობს ხელს, აფხაზ ხალხს კი არ ექნება არაფერი და ხელი შეეშლება ტურიზმს. ასეთი უკმაყოფილება შეიძლება გამოიკვეთოს, მაგრამ ამას ჯერჯერობით არა აქვს ტოტალური ხასიათი და უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ელიტა, რომელიც ერთმანეთს ებრძვის, ოპოზიცია იქნება ეს თუ ხელისუფლება მთლიანად რუსეთზეა ჯერჯერობით ორიენტირებული. ღიად, ფარულად, რასაკვირველია, ისინი ცდილობენ როგორმე დაალაგონ ურთიერთობა დასავლეთთან, დაალაგონ ურთიერთობა თურქეთთან, ირანთან და ასე შემდეგ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი არის მაინც მოსინჯვის და მოთვლვის პროცესში.

— ხვდებიან იმას, რომ რუსეთი თავისი ინტერესებისთვის იყენებს და მეტი არაფერში სჭირდება?

— ამას ხვდებიან ძალიან კარგად, მაგრამ მეორეს მხრივ ამბობენ, რომ ჩვენ არა გვაქვს გარანტიები საქართველოს მხრიდან, რომ ახალი ომი არ დაიწყება, აქედან გამომდინარე ჩვენ იძულებულები ვართ შევეგუოთ რუსებს, იმიტომ, რომ საქართველოსი გვეშინია. საქართველოს შეუძლია ერთ დღეში დააქციოს ჩვენი ქვეყანა, რუსეთი ამას აკეთებს ნელ-ნელა, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

— საქართველოს ისევ რუსეთი ურჩევნიათ...

— რასაკვირველია. აქ ლაპარაკი ეთნოსებზე არ არის, ეთნოსების შემთხვევაში, რასაკვირველია, ქართველების მიმართ დადებითი დამოკიდებულება გაიზარდა, მაგრამ არა საქართველოს მიმართ.

— ნავთობის მოპოვებას რაც შეეხება, დაიწყება ეს სამუშაოები აფხაზი ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად?

— ახლა მიდის მოსამზადებელი სამუშაოები, დაიწყება თუ არა ნავთობის მოპოვება, ეს ძნელი სათქმელია, ამას ძალიან ბევრი კომპონენტი აქვს: ტექნოლოგიურად რამდენად მომგებიანი იქნება მისი ამოღება, შესაძოწმებელია, რა მარაგია, ნავთობი რომ არის იქ, ეს ფაქტია, რა ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ეკოლოგიური საკითხი როგორ იქნება დაცული, გასასაღებელი ბაზარი სად იქნება და მოკლედ უამრავი საკითხია. პრინციპში პროცესი დაწყებულია.

— ბატონო მამუკა, რა ინფორმაციას ფლობთ დაკარგული გამდიდრებული ურანის შესახებ, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა?

— რასაკვირველია, ამის შესახებ მაქვს ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო გამდიდრებული ურანი. ჩემთვის ის არის ცნობილი, რომ იქაურ რადიო-ფიზიკურ ინსტიტუტში იყო ურანის გარკვეული მარაგი, რომელიც გაქრა თავის დროზე, 90-იან წლებში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი ტიპის ურანის ტრანსპორტირებაში ძალიან სერიოზული ძალები არიან ჩაბმული. აფხაზეთის ხელისუფლება ამ საქმეში მეასეხარისხოვან მონაწილედ შეიძლება ვივარაუდოთ. მე მაინც მგონია, რომ სხვა ძალები არიან დაკავებული, როგორც კრიმინალური, ისე ნახევრად კრიმინალურიც შეიძლება იყოს. ამდენად, ამ ურანის წარმოშობის და გადაადგილების ფორმატი ჩემთვის, ბუნებრივია, ცნობილი არ არის. მე მაინცდამაინც არ ვთვლი, რომ ეს არის აფხაზების მიერ გასაყიდად გამზადებული ურანი. მე მაინც ვთვლი, რომ სხვა ძალებია ამაში ჩართული.

— რუსულ ძალებს გულისხმობთ?

— რასაკვირველია. თუ ეს ასეა, მხოლოდ რუსულ ძალებს ხელეწიფებოდათ ამ საქმის საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ჩართვა.

— ამ მხრივ რაიმე საშიშროებას ხომ ვერ ხედავთ?

— ეს ისეთი ურანი არ არის, რომ აფეთქდეს. ასეთ ურანს, ასაფეთქებლად რომ მზად იყოს, წინ კიდევ რიული პროცესი ელის.

— რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მტკიცებით უცხოელი ინსტრუქტორები, საქართველოში, რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით ტერორისტულ დაჯგუფებებს ამზადებენ...

— ვიცი ამ განცხადების შესახებ. საქმე ისაა, რომ მე ამის შესახებ ინფორმაცია არა მაქვს, მე არ შემიძლია არც უარვყო და არც დავადასტურო ეს ინფორმაცია. მაგრამ მაინც მგონია, რომ არ შეეფერება ეს სიმართლეს. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ხდება ასეთი ტერორისტების მომზადება და შემდეგ მატი გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში. ახლანდელ კლიმატურ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, არავითარი ტერორისტების გაგზავნაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი, ვერ გადავლენ კავკასიის ქედზე უბრალოდ. მინდა გითხრათ, რომ ასეთი ტიპის განცხადებებს იმდენად ხშირად აკეთებენ, რომ ეს ეჭვსაც იწვევს, იმიტომ, რომ მე ვიცი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან კარგად მუშაობს რუსეთის დაზვერვა. ასეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკი, როცა ასეთი ტიპის განცხადებას აკეთებს, აუცილებლად სასურველია, რომ მან დაასახელოს, რომელ ბაზაზე და რა ტიპის ტერორისტები არიან. დარწმუნებული ვარ, რომ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია, აუცილებლად იტყოდნენ. მე მაინც ვთვლი, რომ ასეთი ტიპის განცხადებები კეთდება საზოგადოებრივი აზრის მომზადებისათვის, თუ რუსეთს დასჭირდა მომავალში სამხედრო აქტივობა საქართველოს მიმართულებით, მაშინ გამოიყენებს; აი, ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ტერორისტებს ამზადებენ, ეს ხომ ახალი განცხადება არა არის, უკვე მერამდენე განცხადება კეთდება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს განცხადებები პროვოკაციულ ხასიათს ატარებს?

— მე არ მაქვს ამდაგვარი ინფორმაცია, რომ აქ ვინმეს ამზადებდნენ და თუ ამზადებენ, ეს არის კატასტროფა, მაგრამ არა მგონია, რომ ამზადებდნენ და ვთვლი, რომ ეს არის პროპაგანდისტული განცხადება თავისი მიზნებისთვის. ისე, ერთიც უნდა ითქვას, რომ მეორეს მხრივ ხშირად ყურადრების მიღმა რჩება, რომ ანალოგიური განცხადება კეთდება რუსეთის სხვადასხვა დონის სამხედრო თუ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან, იმის თაობაზე, რომ საზღვარი არის დაცული საქართველო-რუსეთის ისე, რომ ჩიტიც ვერ შეფრინდება, თუ ჩიტიც ვერ შეფრინდება, რისი ეშინიათ მაშინ? ეს არის პროპაგანდისტული განცხადება, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მომზადებაზეა გათვლილი.

— ერთი პეროიდი თითქოს დათბა ურთიერთობები რუსეთ-საქართველოს შორის, დადებითი განცხადებებიც კეთდებოდა მედვედევის მხრიდან, თუმცა, სიტუაცია კვლავ უცვლელია...

— მედვედევის მხრიდან გაკეთებული განცხადებები იყო ქართველი ხალხის მიმართ და არა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ეს სხვადასხვა რამეა, ე.ი. საავიაციო მიმოსვლასთან დაკავშირებით და ზოგიერთ სხვა საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები იყო ქართველი ხალხის გულის მოსაგებად, სინამდვილეში რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ იცვლება და არც შეიცვლება, იმიტომ, რომ მთავარი აქ არის დათმობა რუსეთის გადაწყვეტილებისა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, მთავარი აქ არის სარკოზის, სააკაშვილის და მედვედევის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის შესრულება, რასაც რუსეთი არა მარტო არ აკეთებს, ვერ გააკეთებს. ერთადერთი, რაც შეუძლია გააკეთოს — პერეკვიდან გაიყვანოს ჯარები, დანარჩენს ვერ გააკეთებს, იმიტომ, რომ მოსკოვში ძალიან კარგად იციან, ამის გაკეთება ნიშნავს, მათი ავტორიტეტის სამუდამოდ დამარხვას მთელი კავკასიის მასშტაბით. ძალიან არ უნდათ ის, რაც ხდება, დისკომფორტს უქმნით მთლიანად ეს სიტუაციაა, ყველა პატარა ქვეყანას, რომელიც ევროკავშირშია გაერთიანებული, ყოველთვის შეუძლია ცხვირში ჩასჩაროს ის, რომ აი, თქვენ ასეთი რამე გააკეთეთ, მაგრამ ცივილიზებულ მდგომარეობაში არიან ამ თვალსაზრისით. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, მიუხედავად სამარი ვითარებისა, მიუხედავად ოკუპირებული ტერიტორიებისა, საერთო ენის პოვნა რუსეთთან, ყოველ შემთხვევაში, დიალოგის ფორმატი უნდა შეიქმნას. რას ლაპარაკობენ მაღალი ტრიბუნიდან, მედვედევი იქნება თუ სხვა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, როგორმე ეს ფორმატი შეიქმნას. საქართველოს დიპლომატიამ უნდა შეძლოს ამ ხიდის აგება, არა მარტო სომხეთის მეშვეობით უნდა იმოქმედოს, არამედ პირდაპირ უნდა მონახოს ეს კონტაქტები. მე ამ ტერმინის მომხრე ვარ, იძულება მოლაპარაკებისთვის, ამის რეალიზაცია უნდა მოხდეს როგორმე.

— რაც შეეხება ლარსის გამშვები პუნქტის გახსნას, თქვენ თუ ხართ მომხრე მისი გახსნის და ეს რაიმე სახის ცვლილებებს თუ შემოიტანს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში?

— როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი წინააღმდეგი იყოს მეორე ქვეყანასთან ურთიერთობების დამყარების, თუნდაც სავაჭრო ურთიერთობების, მაგრამ ლარსთან დაკავშირებით მე მაქვს ჩემი პოზიცია, მე ვთვლი, რომ ლარსის გახსნა არის ნაადრევი.

— რატომ ფიქრობთ ასე, რა მოტივაცია გაქვთ?

— მოდით, ვილაპარაკოთ ჯერ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, საქართველოს რუსეთთან არა აქვს არანაირი ეკონომიკური კავშირი, აქედან გამომდინარე, ლარსის გახსნა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკურ ინტერესებს ვემსახურებით, პლუს ჩვენ ვეხმარებით რუსეთს, რომ თავისი ბაზები უზრუნველყოს, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზეა განლაგებული. რისთვის ვხსნით ამ ლარსს? მხოლოდ გულის მოსაგებად? თუ ამის უკან კიდევ რაღაცაა ჩადებული, დათქმულია, რომ ოღონდ ეს ლარსი გახსენით და მერე ჩვენც სხვანაირად დაგელაპარაკებით, თუ ეს ასეა, კი ბატონო, შეიძლება დაფიქრება, მაგრამ ეს ინფორმაცია საზოგადოებას და მათ შორის მეც არა გვაქვს. ჩვენ ვხედავთ ღია სურათს, ღია სურათი ისეთია, რომ საქართველო ხსნის ლარსს იმიტომ, რომ სომხეთის რესპუბლიკას ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდეს რუსეთთან და რუსეთმა მოამარაგოს თავისი სამხედრო ბაზები. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილო ოსეთის საზოგადოებაში მიდის ძალიან ძლიერი პროპაგანდა იმის თაობაზე, რომ ყაზბეგის რაიონი არის ჩრდილო ოსეთის და აი, ამ ორგანიზაციას, რომელსაც ჰქვია დარიალი და რომელიც არის მთავარი პროპაგანდისტი ამ იდეისა, ამ ორგანიზაციის ბოლო შეკრებაზე, რომელიც დეკემბრის ბოლოს გაიმართა, უკვე ესწრებოდა ჩრდილო ოსეთის პარლამენტის ვიცე სპიკერი, ესწრებოდნენ ჩრდილო ოსეთის პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები, ესწრებოდა რუსეთის დუმის დეპუტატი არსენ ფაძაევი. ამხლა დონეზეა აწეული ეს იდეა და ნიფათია გარკვეულწილად.

გილაური ეგვიპტეს ეწვევა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური 19 იანვარს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ეგვიპტის უმაღლეს ხელმძღვანელობას შეხვდება. ქაიროში ასევე დაგეგმილია საქართველო-ეგვიპტის ეკონომიკური კომისიის სხდომის გამართვა.

ვიზიტისას განიხილება საქართველოში ეგვიპტური ინვესტიციების მოზიდვის საკითხი და ორი ქვეყნის კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობა. ასევე, ყურადღება გამახვილდება ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ინვესტიციების დარგში თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

როგორც ქართული ისე ეგვიპტური მხარე მიიჩნევს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანას შორის „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ" შეთანხმებების დადებას.

ინტერფაქსი

აფხაზურ არმიაში ქართველებს ძალით არ იწვევენ

სოხუმის რეჟიმი აფხაზურ არმიაში ქართველი მოქალაქეების იძულებით განწვევის ფაქტებს უარყოფს. ამის შესახებ ინტერნეტგამოცემა „კავკაზსკი უზელი" იუწყება.

აღნიშნული განცხადება აფხაზეთის ე.წ. სამხედრო კომისარმა ვახტანგ ცუგბამ ლექსო ბუაინაის საკითხის კომენტირებისას გააკეთა. ბუაინაიმ აფხაზურ არმიაში იძულებით განწვევის გამო საქართველოს თავშესაფარი სთხოვა.

ცუგბას თქმით, ტყვარჩელის რაიონის სოფელ კოხორას მცხოვრები, 20 წლის ლექსო ბუაინა არმიაში ორწლიანი გადავადების შემდეგ გაიწვიეს. მისი ინფორმაციით, ბუაინაის უფროსმა ძმამ ქართულ არმიაში იმსახურა და „ამჟამადაც საქართველოში ცხოვრობს"

— ლექსო ბუაინის რომ განეცხადებინა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური არ სურს, მას იძულებით არავინ გაიწვევდა, როგორც 2 წლის წინ, როცა მას 18 წელი შეუსრულდა, — განაცხადა ცუგბამ და დასძინა, რომ აფხაზურ არმიაში ქართველი მოქალაქეების იძულებით გაწვევის შესახებ ქართული მხარის ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება.

ცუგბას ინფორმაციით, 2009 წლის საშემოდგომო გაწვევის დროს გალის რაიონიდან სულ 3 ადამიანი გაიწვიეს. მისი განცხადებით, გალელების აფხაზურ არმიაში განწვევა მტკივნეული საკითხია. ცუგბას მტკიცებით, გალელ ახალგაზრდებს აფხაზურ ჯარში სამსახური სურთ, თუმცა, ამის ეშინიათ, რადგან საქართველოს ხელისუფლება მათ ღალატში დაადანაშაულებს.

ლექსო ბუაინამ დახმარებისთვის საქართველოს ხელისუფლებას 14 იანვარს მიმართა.

ინტერფაქსი

ოპოზიციამ ევროსაბჭოს საქართველოში არსებული ვითარება გააცნო

ევროსაბჭოს თბილისის ოფისში საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ხელმძღვანელის მიშელინ კალმი-რეის შეხვედრა გაიმართა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ —დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ისინი მიშელინ კალმი-რეის საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებაზე ესაუბრნენ.

ბურჯანაძის თქმით, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რადიკალურად განსხვავდება ხელისუფლების მიერ შეფასებული რეალობა იმისგან, რაც მან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან მოისმინა. ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ დასავლელი მეგობრები საქართველოში არსებულ რეალობას ადეკვატურად შეაფასებენ.

მისივე თქმით, ქვეყანაში დემოკრატიული მაჩვენებლები ყველა მიმართულებით გაუარესებულია და ეს მოხდა არა მარტო ბოლო წლების, არამედ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, როცა ნაცვლად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ასობით ნაბიჯი უკან გადაიდგა.

ნინო ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანა ტოტალური სისტემისკენ მიექანება.

— თუ არ ვიბრძოლეთ, ამის საფასურს ძალიან მწარედ გადავიხდით და ამის გადახდა მოუწევს არა მარტო ჩვენს თაობას, არამედ მომავალ თაობებსაც, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ინტერფაქსი

ნოლაიდელი ქარდაკარ თბილისშიც ჩამოივლის

25 იანვრიდან მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" აქციას „კარდაკარ" თბილისშიც დაიწყებს.

როგორც „პირველს" ნოლაიდელის მოძრაობიდან აცნობეს, 25 იანვრიდან თბილისის გარდა კარდაკარ სიარული საქართველოს 20 რაიონში დაიწყება, 15 თებერვლიდან კი - საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

აქციის მიზანი ამომრჩეველთა სიების გადამოწმება და საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტებაა.

შეგახსენებთ, რომ „სამართლიანი საქართველოსთვის" ორგანიზებით უკვე თვეზე მეტია აქცია „კარდაკარ" ქობულეთისა და ოზურგეთის რაიონებში ტარდება.

პრესა

ქართული ხელოვნების მოყვარულებს „მაგთიკომი“ კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებს

“%□ანვარსფელარმისამ7□კომპანიისმარდაქერი07 თემურფოფელიმშვილისსოლოკონცერტგამართვა

შეუძლებელია ადამიანს დაავინყო ის, ხაც მას სისხლსა და ხორცში ღრმად აქვს გამჯდარი, ნამომეგენელია, იმის ყეთება მოაშლევინო, ხაც ღლიდან დაბადებისა მის უმთავრეს მიზანსა და ჯერეოს ნამოადგენს... ასეა „მაგთიკომის“ შემთხვევაშიც — ქეშმარიტი ქართული, ქვეყნის ანმყოსა და მომავლისათვის სასიკეთო საქმეს ყეთება ქართული სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერი კომპანიის ნამომადგენლებს უმთავრეს მისიად დაესახავთ და ღლიდან დაარსებისა თავდაუზოგავად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე მიინევენ მისი აღსრულებისაკენ.



საქართველოში უკვე აღსავსებისაა უცხო, რომ „მაგთიკომი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ქველმოქმედია, რომ ამ კომპანიის სახელი ქართული კულტურისა და ხელოვნების უწყვეტ თანადგომასთან ასოცირდება... ალბათ რამდენიმე საგაზეთო ფურცელი არ ეყოფა იმ საქმეების სრულად ჩამოთვლას, რაც მაგთის არსებობის 12 წლის მანძილზე ქვეყნის კულტურისთვის, მისი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის გაუკეთებია, თუმცა, მკითხველის ყურადღება ახლა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე მინდა გავამახვილო. როგორც ჩანს „მაგთიკომში“ ნამდვილი ქართული საქმის კეთებას 2010 წელსაც მეტად აქტიურად განაგრძობენ და საზოგადოებას ამჯერად მსოფლიოში ცნობილი ქართველი გიტარისტის, თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტით აჯილდოვებენ.

თემურ ყვითელაშვილის მეექვე ალბომის გამოსვლისადმი მიძღვნილი კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, 20 იანვარს, 19 საათზე, „მაგთიკომის“ ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით გაიმართება. აღსანიშნავია ისიც, რომ მაგთისავე პატრონაჟით მოხდა ცნობილი გიტარისტის ახალი ალბომის — „დამზადებულია საქართველოში“ მომზადება და ჩაწერა. მასში შედის კომპოზიციები და ნაწარმოებები, რომლებიც ქართული მუსიკის კლასიკად ითვლება.

შეგახსენებთ, რომ თემურ ყვითელაშვილმა კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო, ამ დროისათვის კი, უკვე 6 ალბომისა და არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის ჯილდოს მფლობელია.

თემურ ყვითელაშვილი, გიტარისტი: „რიგით მეშვიდე სოლო კონცერტს, 20 იანვარს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გავმართავ. მართალი რომ გითხრათ, ქართველ მსმენელს ძალიან მონატრებული ვარ და ამ შესანიშნავი შანსისთვის უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომსა“ და მის ხელმძღვანელობას. ამ ადამიანებმა აბსოლუტურად ყველა პირობა შემიქმნეს იმისათვის, რომ ბოლომდე დავიხარჯო და აუდიტორიას ისეთ დონეზე მომზადებული კონცერტი შევთავაზო, როგორიც მას ეკადრება. 20 იანვარს ჩემს გვერდით იქნება ხალხი, რომელთაც უდიდეს პატივს ვცემ და რომლებთან ერთად სხვადასხვა დროს სხვადასხვა ანსამბლში ვმოღვაწეობდი. კლავიშებზე თემურ მაისაშვილი, გიორგი მაჭარაშვილი, მერაბ მამალაშვილი და ოთარ ყუფუნია შეცვლიან ერთმანეთს, პერკუსიაზე დავით ჯაფარიძე დაუკრავს, დასარტყმელ ინსტრუმენტზე ზაზა ცერცვაძე, ბასზე კი ლევან დეისაძე. ამას გარდა, ჯანსულ კახიძის სახელობის ორკესტრის მცირე შემადგენლობაც დაგვერხარება და მოხდება ოთარ ტატიშვილის სიმღერის პრეზენტაცია.

მინდა აღვნიშნო, რომ კონცერტი, გეგმის მიხედვით, ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლოს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, ისე მოხდა, რომ დედა გარდამეცვალა და მთელი წლის განმავლობაში პაუზა მქონდა აღებული.

— ახალ კომპოზიციებს თუ შესთავაზებთ მსმენელს?

— რა თქმა უნდა... მინიმუმ 12-13 კომპოზიცია მაქვს ახალი, ანუ, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ კონცერტის 80% მსმენელისთვის სრულებით უცნობია. ბუნებრივია, ისეთ კომპოზიციებსაც შევასრულებ, რაც ხალხმა იცის და უყვარს, რადგან ბევრი ადამიანი იმისათვის მოვა, რომ ძველიც მოისმინოს რამე. კონცერტის დასაწყისში ალბომის დემონსტრირება გაიმართება, მისი დახურვა კი, ნაცნობი ჰიტებით მოხდება.

— როგორც ჩვენთვისაა ცნობილი ხვალ თქვენი ახალი, რიგით მეექვსე ალბომის პრეზენტაციაც გაიმართება...

— მართალია... „მაგთიკომი“ ალბომის ჩაწერის საქმეშიც ბოლომდე გვერდზე დამიდგა. „დამზადებულია საქართველოში“-ს საზოგადოებისათვის წარდგენა 19 იანვარს მაგთი კლუბში მოხდება და სულ მალე მას მთელი მსოფლიო გაეცნობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალბომი ბოლომდე ამართლებს სახელს. მასში შესული თითეული კომპოზიცია საქართველოშია დაწერილი. მათ შორის რამდენიმე ისეთი კლასიკური ნაწარმოებიცაა, რომელთა შესრულება ჩემთვის უდიდესი პატივია და ბავშვობიდან ყველაზე სანუკვარი ოცნებაც კი, გახდ ადათ. რაღა თქმა უნდა, ალბომის მომზადება აშშ-შიც თავისუფლად შემეძლო, თუმცა, მიმაჩნია, რომ ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა მაგალითად, „დაისი“ აუცილებლად საქართველოში, ქართულ სტუდიაში, ქართველი მუსიკოსების შესრულებით უნდა ჩაიწეროს.

უფრო თუ დავკონკრეტდებით, ერთადერთი რაც საზღვარგარეთ გავაკეთეთ ჟღერადობის გასწორება გახლდათ. ალბომს მასტერინგი ქალაქ ბერკლში, სტუდია „ფანტაზიში“ გაუკეთდა, იქ სადაც ისეთი მსოფლიო ვარსკვლავებიც კი წერენ კომპოზიციებს, როგორებიც არიან მაგალითად, კარლოს სანტანა, ჯოშ სატრიანი, ჩიკო რეა, პოლ საიმონი და ა.შ.

„დამზადებულია საქართველოში“ 8 კომპოზიციაა შესული, რომლებსაც დასარტყამი ინსტრუმენტების, ბასის, კონტრაბასის, კლავიშებიანი ინსტრუმენტისა და კამერული ორკესტრის დახმარებით ვასრულებ. ჩანაწერი ბუნებრივია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა გაკეთებული.

— თქვენი შემთხვევა პირველი პრეცედენტი ნამდვილად არ არის იმისა, როდესაც „მაგთიკომს“ უდიდესი წვლილი შეაქვს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში, თუმცა, მაინც საინტერესოა, როგორ მოხდა ამ კომპანიასთან დაკავშირება?

— მე ისეთი პიროვნება ვარ, რომ ზედმეტი ლაპარაკი ძალიან არ მიყვარს. ნამდვილად არ შემიძლია ადამიანზე ის ვთქვა, რაც არ არის და ამით სიტუაცია შევაფერადო. ვცდილობ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა და არასდროს ვიპირფერო. სწორედ ასეა „მაგთიკომის“ შემთხვევაშიც... ის დახმარება, რაც ამ კომპანიისაგან მივიღე ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეს ხალხი მაქსიმალურად დამიდგა გვერდში და ყველაფერი უმაღლეს დონეზე, რაც მთავარია, ყოველგვარი დაყვედრებისა და ზედმეტი თხოვნის გარეშე გამიკეთა. თითქმის ყოველ დღეს „მაგთიკომში“ ვატარებ, მისსავე კლუბში მიმდინარეობს ჩემი რეპეტიციებიც და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მაქსიმალურ კომფორტში ვმუშაობ — თუნდაც აპარატურის, ინტერიერისა და გარემოს თვალსაზრისით. ჩემთვის უდიდესი პატივია ის ფაქტი, რომ მაგთის ხელმძღვანელობა დიდ ხელოვანად მთვლის და ამისთვის მინდა კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავიხადო თითეულ მათგანს. მეც, ჩემი მხრივ, მაქსიმალურად შევეცდები კომპანიის წარმომადგენლების იმედები გავამართლო და კონცერტმა ისეთ დონეზე ჩაიაროს, როგორსაც ჩემი მსმენელი იმსახურებს.

— კონკრეტულად რა წვლილი მიუძღვის „მაგთიკომს“ დისკის ჩაწერის თვალსაზრისით?

— მაგთი პირველ რიგში დისკის დიზაინის შედგენაში დამეხმარა. მას საზოგადოება უახლოეს დღეებში იხილავს და თავად დარწმუნდება რამდენად მაღალ დონეზე და ხარისხიანადაა გაკეთებული. მაგთისავე დაფინანსებით მოხდა მისი ჩაწერა, გამოცემა და საზოგადოებისათვის წარდგენა. ასე რომ, თუ ამ დროისათვის ამ კომპანიას სპონსორად ვერც კი მოვიხსენიერ, რადგან ეს სიტყვა ცოტა არ იყოს და ცივად ჟღერს — მე ამ კომპანიის პატრონაჟის ქვეშ ვიმყოფები და მისი თითეული წარმომადგენელი ძმურად მიწვდის დახმარების ხელს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამაყი ვარ, რომ ეს ყველაფერი ევროპულ დონეზე, მთელი გულითა და სულით, ყოველგვარი დაყვედრების გარეშე კეთდება.

— ქართველ მსმენელს ალბათ ძალიან აინტერესებს როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?!

— 20 იანვრის შემდეგ აშშ-ში გამგზავრებასა და ლოს-ანჯელესში, სან-ფრანცისკოში, სიეტლსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში კონცერტის ჩატარება მაქვს დაგეგმილი. ამის შემდეგ ევროპასაც ვესტუმრები, თუმცა, კონკრეტულად რომელ ქვეყნებს ამის თქმა ჯერ ზუსტად არ შემიძლია. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ გერმანიაში „მუსიკ მესსა“ გამოფენაში მივიღებ მონაწილეობას. ამას გარდა, იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოს ოთხი ბრენდის სახე ვარ ლოს-ანჯელესის ყველაზე დიდ გამოფენაში, „ნემ შოუშიც“ ვმონაწილეობ, რომელშიც ჩემს გარდა ისეთი მეგავარსკვლავები უკრავენ, როგორიცაა ჩიკო რეა და ჯორჯ ბენსონი. ძალიან სერიოზულად ვარ დაკავებული ვოკალით... არ ვიცი საზოგადოებამ იცის თუ არა, მაგრამ ამ თვალსაზრისით სხვადასხვა დროს უამრავი მომღერლის კონსულტანტი გახლდით. მაქვს საინტერესო მასალა, რომელიც თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა ალბომის სახით უკვე 2010 წლის ზაფხულში გამოვა. რაღა თქმა უნდა, აქ ვოკალი და გიტარა ერთმანეთთან იქნება შერწყმული, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ჩემი თავი ვერც კი წარმომიდგენია. მეშვიდე ალბომის ჩაწერა ამ შემთხვევაშიც საქართველოში მოხდება, რადგან ყველა სიმღერა ქართულენოვანი გახლავთ. მე ქართველი ვარ და ამით ძალიან ვამაყობ. ეს თემურ ყვითელაშვილის პოზიცია გახლავთ და სხვა არავის დასანახად არ კეთდება.

ანა ვაჩნაძე

სოფო ნიჟარაძე ევროვიზიაზე წარგვადგენს

ეკატერინა

ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველო „ევროვიზიას“ უბრუნდება. ევროვიზია 2010-ზე, რომელიც წელს ნორვეგიაში, ოსლოში გაიმართება, საქართველოს სოფო ნიჟარაძე წარდგება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საპროდიუსერო ჯგუფმა ხანგრძლივი დისკუსიების და მსჯელობის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. მან უარი თქვა, წელსაც გაემართათ შიდაშესარჩევი კონკურსი, სადაც ყველა მსურველი მიიღებდა მონაწილეობას. საპროდიუსერო ჯგუფი ერთხმად შეთანხმდა კანდიდატზე, რომლის ვინაობაც სპეციალურ ბრიფინგზე გაახმაურა. სოფო ნიჟარაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა ერთობლივი გადაწყვეტილებით მოიწონა და შესაბამისად შიდაშესარჩევი კონკურსის გამოცხდება აღარ გახდა საჭირო.

სოფო ნიჟარაძეს შემოქმედებითი კარიერის განმავლობაში არაერთი წარმატება აქვს მოპოვებული. 1995 წელს იგი საერთაშორისო ფესტივალის „ბროლის ნაძვის“ ლაურეატი გახდა ნომინაციაში „საუკეთესო ვოკალი“ და რადიოსადგურის სპეციალური ჯილდოც მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა მომღერალმა პირველ ქართულ ფესტივალში „ლიგა“ მიიღო მონაწილეობა, სადაც სიმღერისთვის „შენზე“ სპეციალური ჯილდო დაიმსახურა. იმავე წელს, მომღერალმა იტალიელი პროდიუსერის კლაუდიო ბანდერას კონკურსში გაიმარჯვა და იტალიაში, ფესტივალზე „ბრავო, ბრავისიმო“ გაემგზავრა, სადაც მილანში, „ლა სკალას“ თეატრის სცენაზე გამოვიდა.

1997 წელს სოფო ნიჟარაძე მოსკოვში საერთაშორისო ფესტივალზე „ბროლის ნოტი“ მიიწვიეს. თბილისის მერია მომღერალი დიპლომით „უნიკალური ვოკალური მონაცემებისთვის“ დააჯილდოვა. 2000 წელს კინოსტუდიამ „ფორტე“ და სტუდიამ „ვარსკვლავური კიბე“ მას საუკეთესო ვოკალისთვის „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცეს. წლების განმავლობაში მომღერალი საქართველოს ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელობის სტიპენდიას იღებდა. სოფომ სწავლა მუსიკალური თეატრის ფაკულტეტზე გააგრძელა. 2005 წლის ზაფხულში იაფმალაში, პოპულარულ ფესტივალზე „ახალი ტალღა“ ფინალისტი გახდა. იმავე წელს ახალგაზრდა მომღერალმა ერთ-ერთ ფესტივალზე ლეგენდარული მსახიობის, ალენ დელონის წინაშე სიმღერით „სიტყვა“ წარდგა.

საქართველო ევროვიზიაში უკვე მეოთხე წელია მონაწილეობს. პირველი მერცხალი ჩვენი ქვეყნიდან სოფო ხალვაში იყო, რომელიც დიანა ღურწკაიამ შეცვალა. გასულ წელს კი შიდაშესარჩევ კონკურსში სტეფანემ და სამმა გოგომ გამიარჯვეს სიმღერით „პუტ ინ დისკო“. სიმღერა ევროფესტივალის ორგანიზატორების მიერ დაწუნებულ იქნა და მისი შეცვლა მოითხოვეს, რაზეც საქართველომ უარი განაცხადა და 2008 წელს ევროვიზიის კონკურსის ფინალში, რომელიც მოსკოვში იმართებოდა, მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამჯერად ევროპელი მსმენელის წინაშე წარსადგენად საქართველოს სახელით სოფო ნიჟარაძე ემზადება.

წლევანდელ ევროვიზიაში მონაწილე კონკურსანტისთვის სიმღერაზე უკვე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. კომპეტენტური ჟიური მთგან ხუთ საუკეთესოს შეარჩევს და ხუთეულიდან რჩეულს უკვე მაყურებელი და ჟიური დაასახელებს.

სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:

— ჩვენი ქვეყანა მუდმივ ბრძოლაშია, ევროვიზიაზეც ბრძოლა მოგვიწევს. იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ, ყველას ძალისხმევაა საჭირო. მე რაც შემეხება, ყველანაირად მოვემზადები, დღე და ღამე ვიმუშავებ იმისთვის, რომ ღირსეულად წარვადგინო საქართველო. შთამბეჭდავი და ეფექტური ნომერი უნდა იყოს, რომ ევროპა შოკზნბლოთ, ამისთვის კი ყველამ ერთად უნდა ვიმუშავოთ.

გია ჭანტურია, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი:

— საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა დიდხანს იფიქრა, ვინ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს წლევანდელი წარმომადგენელი ევროვიზიაზე. ჩვენ გამოვარჩიეთ სოფო ნიჟარაძე იმ თვისებებით და კრიტერიუმებით, რაც საჭიროა როგორც ევროპელი, ასევე ქართველი მსმენელის გემოვნებისთვის. გვჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვენი წარმატების გარანტი იქნება.

ნათია უზნაძე ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის პროდიუსერი:

— სოფოს სიმღერაზე კონკურსი უკვე გამოცხადდა. მასში მონაწილეობა შეუძლია ყველა კომპოზიტორს. მათ 3 თვეერელამდე უნდა წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები საპროდიუსერო ჯგუფში. ეს სიმღერები სპეციალურად სოფოსთვის უნდა იყოს დაწერილი ქართულ ან ინგლისურ ენაზე. სიმღერა უნდა იყოს სამწუთიანი და არსად იყოს გაფლერებული. წარმოდგენილი სიმღერებიდან 5 სიმღერა შეირჩევა, რომლებზეც გადავიღებთ კლიპებს. თებერვლის ბოლოს კი ფილარმონიაში გაიმართება გრანდიოზული კონცერტი, სადაც მაყურებელი და ჟიური ერთ საუკეთესოს შეარჩევს. გამარჯვებულ სიმღერას კი სოფო ნიჟარაძე ნორვეგიაში წარმოადგენს.

„ევროვიზია 2010“-ის ნახევარფინალები და ფინალური გალაკონცერტი ნორვეგიაში, კერძოდ კი ოსლოში, 25, 27 და 29 მაისს გაიმართება.

განცხადება

2010 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში, ბერიძეებსა და მათ შთამომავალთ დალოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი იწვევს ყველა ბერიძესა და მათ შთამომავალს დალოცვის ცერემონიალზე დასასწრებად. დალოცვის შემდეგ გაიმართება ბერიძეთა ზეიმი და ნადიმი.

რეგისტრაციისა და ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

91-24-34; 899 33-53-60; 893 71-07-72.

განცხადებები

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

SMS-განცხადებები - 3090

იყიდება

◆ იყიდება 75 კვ.მ. მაღაზია თემქაზე, ხალხმრავალ უბანში, მიწის ფართი 160 კვ. მ. საწყისი ფასი 75 ათასი დოლარი. ტელ.: 892 642-642

◆ მეტრო „ვარკეთილთან“ იყიდება ორსართულიანი კერძო სახლი, დიდი ეზოთი, აივნით, ბუნებრივი აირით, ცენტრალური გათბობით, ავტოფარეხით, სარემონტო. საწყისი ფასი 150 ათასი დოლარი. მისამართი: მე-3 მასივი, აეროპორტის დასახლება, მე-7 ქუჩა, ბინა 20. ტელ.: 73-35-63

ნინო რამიშვილმა ქართული ცეკვა ზენიტში აიყვანა

ეკატერინა

19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე ნინო რამიშვილს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა ქართული ხალხური ცეკვის განვითარებასა და მის კლასიკად დამკვიდრებაში უდიდესი როლი ითამაშეს.

ნინო რამიშვილთან დაკავშირებით ანსამბლის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე და თენგიზ უთმელიძე გვესაუბრებიან:

თენგიზ უთმელიძე, ქორეოგრაფიის კავშირის თავმჯდომარე:

— 19 იანვარს 100 წელი უსრულდება ჩვენი კულტურის გამორჩეულ ადამიანს, დიდებულ ქალბატონს ნინო რამიშვილს, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი კულტურის ისტორიაში. მას უზარმაზარი, შეუფასებელი ღვაწლი აქვს ქართული ქორეოგრაფიის განვითარებასა და ფაროდ პროპაგანდაში. იშვიათად მეგულება ქართველი ქალი, რომელსაც ასე ფართოდ, ასეთი ტრიუმფალური გამარჯვებებით ესახელებინოს ქართველი ერი. გვყავდა და გვყავს გამორჩეული ქალბატონები, მაგრამ ნინო რამიშვილის ფენომენი სულ სხვაა. თავისი ცხოვრების მანძილზე იგი იყო ქართულ ხელოვნებაზე შეწირული და შეყვარებული ადამიანი. ბედნიერი ვარ, რომ წლების მანძილზე მასთან მუშაობის საშუალება მქონდა. ეს იყო გამორჩეული პერიოდი — 60-იანი წლები, როცა ანსამბლი ინტენსიურად დადიოდა საზღვარგარეთ, წელინადში სამი გასვლა გვქონდა და უმაღლესი დონის შემოქმედება იყო წარმოდგენილი იმ პერიოდში. ამიტომაც იღებდნენ ანსამბლს მსოფლიოს პირველი თეატრები, სადაც გვქონდა ტრიუმფალური გამოსვლები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამაში ლომის წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნინო რამიშვილს როგორც ქორეოგრაფს, როგორც რეპეტიტორს, როგორც მოცეკვავეს და როგორც პიროვნებას. ეს ყველაფერი მასში ისე იყო შერწყმული, რომ ანსამბლზე აისახებოდა. ქალბატონმა ნინომ ჩვენს ცხოვრებაშიც დიდი კვალი დატოვა. მან არა მარტო ცეკვა გვასწავლა, არამედ ცხოვრებისეული ბევრი რამ, რაც დღემდე მოგვყვება.

— ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ?

— მასთან წლების განმავლობაში ბევრი საინტერესო მოგონება მაკავშირებს. უპომპრომისო და შეუვალი იყო საქმესთან დაკავშირებით. მისი სიმკაცრე ცნობილია, როცა საქმე მუშაობას და რეპეტიციებს ეხებოდა, მაგრამ გამორჩეულად სხვანაირი იყო სახლში — ძალიან თბილი, სათნო და შესანიშნავი ადამიანი, კარგი მასპინძელი და მოსაუბრე. ანსამბლიდან რომ წამოვედით, ჩემი თაობის მოცეკვავეები ხშირად ესტუმრობდით ხოლმე. გვიხაროდა მასთან მისვლა და მასაც უხაროდა ჩვენი დანახვა.

ჩემი ისტორიის ნათელი ფურცელია, მასთან ერთად პირველად ცეკვა ქართული რომ შევასრულე. ეს ცეკვა არის ქართული ქორეოგრაფიის მშვენება. მინდა მოვყვე, როგორ ვიცეკვე მასთან ერთად პირველად. ინტენსიურად ვემზადებოდი ცეკვა ქართულისთვის. ძალიან რთული შესასრულებელია, მიუხედავად თავისი სისადავისა. ანსამბლში რომ მივედი, 19 წლის ვიყავი. ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ილიკომ მითხრეს, რომ მემუშავა ცეკვა ქართულზე. სამი წლის შემდეგ გასტროლზე ვიყავით ინგლისში. შოტლანდიაში, გლაზგოლში, სამეფო თეატრში გვქონდა კონცერტი. ბატონმა ილიკომ დამიძახა და მითხრა, მოდი, დღეს სიურპრიზი გავუკეთოთ ნინო რამიშვილს, შენ იცეკვე ქართულიო. ისე ვღელავდი, არც კი მახსოვს, რაგორ ვიცეკვე. სამაგირეოდ, არ დამავიწყდება ქალბატონი ნინოს თვალები, მეორე კულისაში მე რომ დამინახა. როგორც შემდეგ თქვეს, ნომრალურად ვიცეკვე. არ გავაბნილე ქალბატონი ნინო. ასე მოხდა ჩემი ნათლობა მასთან პარტნიორობაში. ბრწყინვალე პარტნიორი იყო, პლასტიკა და ტემპერამენტი ჰქონდა, შემოგანათებდა თვალებს, მეტყველი ხელები ჰქონდა, დიდებული მოცეკვავე იყო. სცენაზე რომ გავიდოდა, ყველას ნუსხავდა. ასეთი დიდებული ქალბატონი ჰყავდა ქართული ქორეოგრაფიას, რომელმაც თითქმის საუკუნე იცხოვრა და არ უხსენებია, რომ დაიღალა. ასეთი ენერგიის ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ჩვენს თავზე გვაქვს გამოცდილი — 6-7 საათი სკამიდან არ დგებოდა, ისე ატარებდა რეპეტიციებს.

— მას შემდეგ, რაც ქალბატონი ნინო აღარ არის, მის დაბადების დღეზე ტრადიცია გაქვთ?

— ქალბატონი ნინო 2000 წელს გარდაიცვალა. პირველი გამოფენა მას სიცოცხლეშივე მივუძღვენი, როცა 90 წლის გახდა. შემდეგაც ვაგრძელებდი სხვადასხვა ქალაქებში უნიკალური ფოტოების გამოფენას. თუ რამეს ვაკეთებ, წარმოუდგენელია, გვერდი ავუარო ნინო რამიშვილს. როცა ქალბატონ ნინოზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მყავს ბატონი ილიკოც. ეს იყო ძალიან შეხმატკბილებული წყვილი, არაჩვეულებრივი ხელმძღვანელები. ილიკოს თავისი საქმე ჰქონდა და ქალბატონ ნინოს — თავისი.

რაც შეეხება ტრადიციას, სანამ ქალბატონი ნინო ცოცხალი იყო, მასთან სახლში დავდიოდით ხოლმე. მას შემდეგ, რაც იგი გარდაიცვალა, ჩვენ გავდივართ მის საფლავზე, პანთეონში, მიგვაქვს ყვავილები და ვიხსენებთ მასთან გატარებულ წლებს. სანამ ვათრ ამქვეყანაზე, ჩვენ არ დაგვავიწყდება ეს ადამიანი. სანამ იარსებებს ქართული ცეკვა და სანამ იქნება საქართველო, იარსებებს და იქნება ნინო რამიშვილი. ამ ქალბატონის მიმართ ვალში ვართ და მისი არდავიწყებით მადლობას ვეტყვით მთელი ცხოვრება. ჩვენი ქცევით მის მიმართ უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავთ. ნინო რამიშვილმა უზარმაზარი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას.

როგორც ქორეოგრაფიის კავშირის თავმჯდომარეს, მაქვს გეგმა, რომ რაღაც გავაკეთო, ამაში სრულიად კავშირიც მიჭერს მხარს. ჩაფიქრებული მაქვს გამოფენები როგორც თბილისში, ასევე სხვადასხვა ქალაქში. უკვე რეკავენ ბათუმიდან, ქუთაისიდან. მთელი წელი ნინო რამიშვილის წლად არის გამოცხადებული, ამიტომ განვაახლებ ჩემი გამოფენებისთვის შერჩეულ ექსპოზიციებს და გამოვფენ. მჯერა, მისი საიუბილეო წელი მრავალფეროვანი იქნება.

ფრიდონ სულაბერიძე:

— ბედნიერები ვართ, რომ ქალბატონ ნინოს სკოლა გავიარეთ, ასეთ დიდებულ ქალბატონთან ვშრომობდით და ვმოღვაწეობდით, როცა მართლაც აკადემიური ანსამბლი მაღალ დონეზე იყო. ნინო რამიშვილმა კლასიკურ დონეზე აიყვანა ქართული ცეკვა. სუხიშვილის ანსამბლს, რომელსაც დღეს მარტო სუხიშვილები ჰქვია და ეს ძალიან დიდი შეცდომაა, ქალბატონმა ნინომ თავისი ენერგია, დიდი გამოცდილება, ხელოვნება, საოცარი ოსტატობა შეალია. ნინო რამიშვილი იყო უდიდესი ქალბატონი, ქართული ცეკვის დედოფალი, არაჩვეულებრივ პედაგოგი, მოქალაქე, უნიკალური ადამიანი. მარტო ცეკვით კი არ განისაზღვრებოდა მისი ჩვენდამი დამოკიდებულება, მან ჩამოგვაყალიბა როგორც მოქალაქეები, როგორც ადამიანები. სიკეთით სავსე ადამიანი იყო. მასზე იძახიან, რომ ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო, ამაში ვეთანხმები. სამსახურში როცა ხარ და დიდ ხელოვნებას ემსახურები, მომთხოვნი უნდა იყო. ის ისე გვთხოვდა ჩვენც, როგორც თავის თავს. ისეთი ხასიათის მოცეკვავე იყო, როგორიც არ მინახავს. სცენაზე ცეცხლს ანთებდა, დიდი ტემპერამენტი, საოცარი ცეკვის მანერა და ხასიათი ჰქონდა. არავითარი გადამეტებით არ ვლაპარაკობ. მჭირდა ბედნიერება, რომ მის გვერდით მეცკვა. მეგონა, ცეცხლი მომედო-მეთქი. დღეს ასეთი მანერა და ტემპერამენტი აღარ არის. არ მიყვარს, როცა წარსულს მისტირიან, მაგრამ ქართული ცეკვა ამ ქალბატონმა უმაღლეს მწვერვალზე, კლასიკურ დონეზე აიყვანა. მეტი აღარ გვინდა. ასე უნდა იყოს იმ ტრადიციებში, ის ჩარჩოებში, ის ულამაზესი ცეკვები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს, მრავალფეროვანი პატარ-პატარა კუთხეებით. მთა ჩამოაყალიბეს და უნიკალური ორსაათიანი სპექტაკლი დადგეს. საქართველოს ისტორიაში ეს სპექტაკლი უნდა დარჩეს და მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს. ამის ხელის ხლება არ შეიძლება, ეს უნდა იყოს. თუ ვინმე ნიჭიერი დაიბადა კიდევ და რამე გააკეთა, კი ბატონო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმაზე მეტს ვერ გააკეთებს, რაც ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ილიკომ გააკეთეს. წინსვლა კარგია, მაგრამ რაც მათ გააკეთეს, ამის ხელის ხლება არ შეიძლება. სიახლეებზე რომ მეკითხებიან, სულ ვპასუხობ, მოცეკვავე უნდა დაიბადოს, მოცეკვავე უნდა დაიხვეწოს, მან უნდა შეასრულოს ცეკვა ისე, როგორც ქალბატონი ნინო რამიშვილი გვასწავლიდა. ის ჩვენი მონაპოვარი, ის ჩვენი განძი, საოცარი საუნჯე და სიმდიდრეა, ამის მოშლას არავინ არავის აპატიებს. ეს ყველაფერი ამ ქალბატონის „ბრალია“, სწორედ ნინო რამიშვილმა გააკეთა ეს ყველაფერი. ჩვენი თაობის მოცეკვავეებს ძალიან გვწყდება გული, რომ ადამიშიდან ჩამოიღეს ნინო რამიშვილის გვარი და მარტო სუხიშვილები წერია, ეს უზარმაზარი შეცდომაა. მინდა თავი დავხარო ჩემი მასწავლებლის, ჩემი არაჩვეულებრივი ქალბატონის წინაშე, სითბო და სიყვარული გითხრათ მის მიმართ, ამ დიდი ქალბატონის, დიდი პიროვნების, უზარმაზარი ადამიანის გზა აუცილებლად გაგრძელდეს და არ გაჩერდეს. ჩვენმა პატარებმა უნდა ისწავლონ ეს საგანძური. პირადად ანსამბლ „რუსთავის“ ვხელმძღვანელობ, მისი სკოლა მაქვს მიღებული და სანამ ცოცხალი ვარ, ამ გზას არ ვუღალატებ.

ომარ მხეიძე:

— მის სულს შემოვევლე. 30 წელი ვცეკვავდი ამ ანსამბლში, ეს მთელი ნახევარი ცხოვრებაა. ანსამბლში რომ მივედი, 18 წლის ვიყავი და წამოვედი 48 წლის ასაკში. ანსამბლის პირველ თაობას მივეკუთვნები, 7 წლის ჩამოყალიბებული იყო ანსამბლი, როცა მიმიწვიეს. მაშინ ამ ანსამბლს სუხიშვილები არ ერქვა, ეს იყო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლი. მაშინ ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ, რომ ანსამბლს მიენიჭა აკადემიურობა. ხალხური ცეკვის ანსამბლი მარტო საქართველოს ჰყავდა. მაშინ თუ დაარქმევდი ხალხური ცეკვის ანსამბლს, წარმოდგენილი პროგრამიდან 90% შენი უნდა ყოფილიყო, ეს კი არც ერთ ერს არ აქვს.

იცით, როგორი მახსოვს ნინო რამიშვილი? არაჩვეულებრივი ადამიანი, უნიჭიერესი მოცეკვავე და განუმეორებელი ქალბატონი. მუხლს ვიდრეკ ნინო რამიშვილის წინაშე. იგი რამდენიმე ფუნქციას ითავსებდა, პარალელურად, მასში რამდენიმე ნინო რამიშვილი ცხოვრობდა, რეპეტიციებზე სხვა იყო, სცენაზე — სხვა, ოჯახში — სხვა. ტემპერამენტიან ცეკვებში ისეთ შინაგან ენერგიას ავლენდა, ბევრი ვერ გაუძლებდა. მე და გივი სურვილაძე მისი პარტნიორები ვიყავით ყველა ცეკვაში. შინაგანი წვა ჰქონდა საოცარი. აბსოლუტურად განსხვავებული იყო პირად ცხოვრებაში. მასზე ამბობენ, მკაცრი იყოო, არა მკაცრი კი არა, მომთხოვნი იყო. ცეკვა მისი პროფესია იყო, სახელმწიფო ანსამბლს უძღვებოდა და როგორ შეიძლება მკაცრი არ ყოფილიყო? მას შეეძლო დაენახა რა შეგვეძლო და შენგან პროფესიონალის დაყენებას ცდილობდა. ნინო რამიშვილი მაქსიმუმს გვთხოვდა და საათობით გვმეცადინეებდა. ანსამბლის წარმატებას მხატვრული დონე და პროფესიონალური დისციპლინა განსაზღვრავს. ეს ყველაფერი ჩვენთან დაცული იყო და ამიტომაც იყო ანსამბლი ზენიტში. იმ პერიოდში ტალანტთა კრებული იყო, მათ ყველას თავისებური მიდგომა ჰქონდათ. მას ისეთი მიდგომა ჰქონდა, იცოდა, ვისგან რა გამოვიდოდა. უნიკალური, არნახული თვისებები ჰქონდა პირად ურთიერთობებში. სახლში თუ ესტუმრებოდით, იყო სტუმართმოყვარე, დიასახლისი, ქართველი ქალის ფენომენი. ეს ღვთისგან დაბერტყილი ნიჭია. მინდა მადლობა ვუთხრა უფალს, რომ მასთან ყოფნის საშუალება 30 წელი მომეცა. მისი კაბის კალთის ქვეშ ამდენი ხანი ვიყავი ამოფარებული. 30 წლის განმავლობაში ნინო რამიშვილისგან შენიშვნა არ მიმიღია. საოცარი მომთხოვნი იყო, ჩემი მადლიერება კი რით უნდა გადაეხადა? გადავუხადე იმით, რომ ამ ხნის განმავლობაში შენიშვნა არ დამიმსახურებია, ყველანაირად ვცდილობდი, ასე ყოფილიყო. ძალიან ახლოს ვიყავი მის ოჯახთან, ქალბატონი ნინო ჩემს ქორწილში მოვიდა, დიდი საჩუქარი მოუტანა ჩემს მეუღლეს. ახლაც სულ ვგრძნობ მის მზერას, მწვანე თვალებით რომ შემოგხედავდა, გრძნობდი, რომ მისგან საოცარი ენერგია მოდიოდა. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, არ ვაზვიადებ. ვენაცვალე მის ნათელ სულს, რომელიც ზემოდან დაგვყურებს.

შარაპოვას ავსტრალია კარგად ახსოვს

დღეს, დილით ავსტრალიაში სტარტს აიღებდა დიდი შლემის ერთ-ერთი ტურნირი ავსტრალიის ღია პირველობა. მართალია, როგორც ბოლო ათწლეულებში გვჩვევია, ქართველების გარეშე, მაგრამ ამ ტურნირის მნიშვნელობაზე და სიდიდეზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე ყურადღებიანი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა იქნება, რომელიც თავისი მომხიბვლელობის გარდა იმითაც გამოირჩევა, რომ ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენი ქალია მსოფლიოში, ამასთან, ჩოგნის ქნევვაც კარგად ხელეწიფება და მისგან ტურნირის მოგებაც არავის გაუკვირდება.

— სეზონის დასაწყისში მხოლოდ ერთ საგამოფენო ტურნირში მიიღეთ მონაწილეობა — პონკონგში. აქედან გამომდინარე როგორ შეაფასებდით თქვენს სათამაშო ფორმას ავსტრალიის ღია პირველობის წინ?

— უნდა ითქვას, რომ კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ მჭირდება რაღაც დეტალების დახვეწა. ამასთან, კარგი იქნება თუ მხრის ტრავმა თავს არ შეახსენებს.

— მხარი ახლა უკეთესად გაქვთ, ვიდრე გასული წლის ბოლოს გქონდათ?

— რა თქმა უნდა. ახლა თავს გაცილებით თავდაჯერებულად ვგრძნობ. გასულ წელს ისიც კი არ ვიცოდი, როგორ ვიქნებოდი მომდევნო დღეს. ახლა ამის საშიშროება არ დგას.

— სად ვარჯიშობდით სეზონისთვის მოსამზადებლად?

— ნახევარი სავარჯიშო პროცესი ფლორიდაში განვლილ, მეორე ნახევარი კი — კალიფორნიაში.

— ხომ არ გინდათ თქვათ, რომ გასული სეზონი თქვენთვის გარდამტები აღმოჩნდა?

— აუცილებლად. გასული სეზონის დასაწყისში ისიც არ ვიცოდი, როდის დავუბრუნდებოდი კორტს და საერთოდ, დაბრუნდებოდი თუ არა. საბოლოოდ, სათამაშოდ მხოლოდ მაისში გავედი და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიბრუნებდი ძველ კონდიციებს. პრაქტიკულად ყველაფერი ნულიდან დავიწყე.

— გასული ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვეთ. ამ დროს მატჩების ყურებისას ხომ არ გქონიათ შეგრძნება, რომ ვინმეს მაგივრად კორტზე თქვენ ყოფილიყავით.

— მჭონდა. გასული ავსტრალიის ღია პირველობის მატჩები ბევრი ვნახე, რადგან სახლში სწორედ მაშინ ვბრუნდებოდი, როდესაც თამაშები იწყებოდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ძალიან მომწონდა ჩოგბურთის ყურება.

— რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩოგბურთს თქვენს ცხოვრებაში?

— ჩოგბურთს მნიშვნელოვანი ადგილი რომ არ ეჭიროს, მაშინ კორტს არც კი დავუბრუნდებოდი. მართალია, იყო დრო, როდესაც საერთოდ არაფერი არ მინდოდა მეკეთებინა, მაგრამ სერიოზულად არასდროს მიფიქრია, ჩოგბურთისთვის თავი დამენებებინა. ალბათ, კარიერის დასრულებამდე ყველა ჩატარებული მატჩიდან დიდ სიამოვნებას მივიღებ.

— გასულ წელს კორტს ჯერ თქვენ დაუბრუნდით, შემდეგ — კიმ კლაიჭტერსი, ახლა ჟუსტინ ენენი. ქალთა ჩოგბურთში კონკურენცია იზრდება?

— ჩემი აზრით, წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნება ბოლო წლებში. მაყურებელი ძალიან ბევრ სიამოვნებას მიიღებს და კონკურენცია ისეთი იქნება, როგორც არასდროს.

— პირველი მატჩი მარია კირილენკოსთან გელით. რას იტყვით მოწინააღმდეგეზე?

— კირილენკოსთან ერთად ძალიან ხშირად მითამაშია იუნიორობა ტურნირებზე და ერთმანეთის სათამაშო მანერას ძალიან კარგად ვიცნობთ. მართალია, უკვე დიდი ხანია ერთმანეთს კორტზე აღარ შევხვედრივართ, მაგრამ მარიას შესანიშნავ ჩოგბურთელად მივიჩნევ.

— 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობა თქვენ მოიგეთ. მისი გახსენება თავდაჯერებულობას გმატებთ?

— აბსოლუტურად. 2008 წელს აქ ბევრი შესანიშნავი მატჩი ჩავატარე და ბევრი კარგი გასახსენებელი ფაქტები მაქვს. იმედს ვიტოვებ, წელს ისინი კიდევ უფრო მოიმატებენ.

დინამომ სპონსორი იშოვა, ზესტაფონმა დნიპროს მოუგო

დღეს თბილისის „დინამო“ თურქეთში გაემგზავრება და ქართველოს ჩემპიონატის მეორე ნახევრისთვის ორკვირიან შეკრებას ანტალიაში გაივლის. დინამოელები ჩემპიონატს განახლებული სახით შეხვდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდმა შეიცვალა გენერალური სპონსორი და ახლა ფინანსურად უფრო მძლავრ კომპანიას გაეწევს თანამშრომლობას. „დინამოსა“ და „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას“ შორის ხელშეკრულება პარასკევს გაფორმდა.

ბუბა ტყავაძე: (დინამოს მმართველი დირექტორი):

— ვი-თი-ბი ბანკთან ჩვენ წინა სეზონიდან გვქონდა თანამშომლობა, რომლითაც მოხარული ვიყავითო, მაგრამ ახლა წინ გადავდგით ნაბიჯი და ის ჩვენი გენერალური სპონსორი ხდება. იმედი გვაქვს, ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის წარმატებების მომტანი იქნება.

არჩილ კონცელიძე (ვი-თი-ბი ბანკის გენერალური დირექტორი):

— ჩვენს ბანკს სპორტთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. გვაქვს ურთიერთობები კალათბურთთან, ჩოგბურთან, ვიყავით პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური სპონსორი. ახლა „დინამოსთან“ დავამყარეთ მჭიდრო ურთიერთობა და ამის ძალიან მოხარული ვართ.

ხელშეკრულება მხარეებმა იქვე გააფორმეს, ხოლო „დინამოს“ ფეხბურთელებმა გურამ კაშიამ, გიორგი მერებაშვილმა და ედნილსონმა ბანკის თანამშრომლებს კლუბის მაისურები და ავტოგრაფიანი ბურთი აჩუქეს.

ცვლილებები მოხდა შემადგენლობის დაკომპლექტების მხრივაც. სეზონის ბოლომდე „დინამოს“ შემადგენლობაში ითამაშებენ მეკარე ბექა შეყილაძე და ძველი თენგიზ ჩიკვილაძე. გუნდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ნახევარმცველმა გიორგი კახელიშვილმა. სინჯვებზე იმყოფება მაკედონიელი ცენტრალური მცველი ალექსანდრ კრსტესკი, რომლის დარჩენა-არდარჩენის საკითხი სწორედ ანტალიაში გაირკვევა, სადაც „დინამო“ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს.

სავარაუდოდ, 22 იანვარს „დინამო“ უკრაინულ „ვორსკლას“ ეთამაშება, 24-ში კი მათი მეტოქე დონეცკის „შახტარი“ იქნება, 26-ში კი — მარიუპოლის „ილიჩევეცი“. 28-ში „დინამო“ უკვე ყაზახურ ყარაგანდის „შახტიორს“ გაეჯიბრება, ხოლო ბოლო მატჩს 31 იანვარს ისევ უკრაინულ „ტავრიასთან“ გამართავენ.

ანტალიაში წასვლამდე „დინამომ“ საკონტროლო მატჩი რუსთავში გამართა, სადაც „ოლიმპს“ გაეჯიბრა და 4:0 მოუგო. გოლები ახალნეიულმა ჩიკვილაძემ, ალექსანდრე კოშკაძე, შოთა კაშიამ და ვაჟა ნემსაძემ გაიტანეს.

თურქეთშივე იმყოფება კიდევ ერთი ქართული გუნდი — „ზესტაფონი“. გუშინ იმერლებმა ამხანაგური მატჩი გამართეს დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან“ და 2:1 იმარჯვეს. ანგარიში „დნიპროს“ ქართველმა ფეხბურთელმა ჯაბა კანკავამ გახსნა, რომელმაც იმერელთა მეკარის უხერხულად მოგირიებულ ბურთს დაამატა. მეორე ტაიმში კი „ზესტაფონმა“ ორჯერ იხეირა. უკრაინული გუნდის ვებგვერდის ცნობით, რომლებმაც არ იცით, თუ ვინ გიგანტეს ჩვენებურთაგან გოლები, ჯერ ზესტაფონელთა თავდამსხმელი პირისპირ დარჩენილა მეკარესთან და მისი მოტყუების შემდეგ ცარიელ კარში გაუტანია, ხოლო შემდეგ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით გაუტანია მეტოქის კარში.

ქართველმა კალათბურთელებმა მეტოქეები გაარკვიეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეორეადგილოსანი პირდაპირ მოხვდებიან ლიტვაში. დარჩენილი 10 ნაკრებიდან 6 საუკეთესო უკვე 2011 წელს გაითამაშებს ერთ დარჩენილ საგზურს, ხოლო 4 ცუდი მაჩვენებლის მქონე გუნდები კი ერთმანეთს ა დივიზიონში დასაარჩენად შეებრძოლებიან.

ახლა კი უშუალოდ კენჭისყრის შედეგები. საქართველოს ნაკრები ც ჯგუფში მოხვდა და ევროსაგზურის მოპოვებას პოლონეთის, ბულგარეთის, ბელგიისა და პორტუგალიის გუნდებთან ეცდება. ერთი შეხედვით, ეს ქვეყნები არასაკალათბურთო ტრადიციებისა ჩანან, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს პოლონეთს, ერთი ნაბიჯი დააკლდა გასულ წელს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბელგიის ნაკრებს, კარგად გამოიყურება ბულგარეთის ნაკრებიც. ერთადერთი იოლ მეტოქედ შესაძლოა, პორტუგალიელები მივიჩნიოთ. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს და მის გულშემატკივრებს ძალიან ცხელი ზაფხული ელით.ცნობილია უკვე, თუ ვის და სად შეხვდება ჩვენი ნაკრები:

2 აგვისტო: საქართველო-პოლონეთი; 5 აგვისტო: ბელგია-საქართველო; 11 აგვისტო: საქართველო-პორტუგალია; 14 აგვისტო: ბულგარეთი-საქართველო; 17 აგვისტო: პოლონეთი-საქართველო; 20 აგვისტო: საქართველო-ბელგია; 26 აგვისტო: პორტუგალია-საქართველო; 29 აგვისტო: საქართველო-ბულგარეთი. სხვა ჯგუფებში გუნდები ასე განთავსდნენ: ა ჯგუფი: ფინეთი, იტალია, ლატვია, ჩერნოგორია, ისრაელი; ბ ჯგუფი: ბოსნია-ჰერცეგოვინა, უნგრეთი, მაკედონია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი.

მიუნხენშივე გაიმართა ასაკობრივი ნაკრებების კენჭისყრაც. ერთია, ამ ნაკრებებში საქართველოს ნაკრებები, ეროვნულისგან განსხვავებით ბ დივიზიონში ასპარეზობენ.20-წლამდე ასაკის ნაკრებების შესარჩევ ეტაპს 14-24 ივლისს ავსტრიელი ობერვარტი უმასპინძლებს და ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები ისრაელის, უნგრეთისა და შვედეთის ნაკრებები იქნებიან.

18-წლამდე გუნდების მასპინძელი ისრაელი იქნება (22 ივლისი-1 აგვისტო). თელ-ავივში ქართველები ძალებს ლუქსემბურგის, ესტონეთის, ავსტრიისა და ჩერნოგორიის ნაკრებებთან მოსინჯავენ.

16-წლამდე ასაკის კალათბურთელებს კი 5-15 აგვისტოს ესტონეთის დედაქალაქი ტალინი უმასპინძლებს. გია კაზანჯიანის შეგირდების მეტოქეები კი რუმინეთის, სლოვენიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ნაკრებები იქნებიან.

ჟორჟოლიანის მორიგი ბრინჯაო

კორეის ქალაქ სუვონში გაიმართა მსოფლიოს მასტერსის ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა სამმა ქართველმა სპორტსმენმა მიიღო — ამირან პაპინაშვილმა (60კგ), ვალერი ლიპარტელიანმა (90კგ) და ლევან ჟორჟოლიანმა (100კგ). აქედან მხოლოდ ჟორჟოლიანმა მოახერხა ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

ჟორჟოლიანმა მეოთხედფინალში ეგვიპტელ ღამადან დარვიშს წუთსა 50 წამში იპონით მოუგო, ხოლო ნახევარფინალში კორეელ ჰი ტაე ჰვანგთან ორჯერ ვაზარზე დაეცა და საბოლოოდ, ბრინჯაოს მედალთან ერთად 160 სარეიტინგო ქულა და 2000 დოლარი ირგუნა.ვალერი ლიპარტელიანი მეოთხედფინალში რუს კირილ დენისოვთან დამარცხდა და მხოლოდ 80 სარეიტინგო ქულა ერგო. ამირან პაპინაშვილმა ტურნირი მერვედფინალშივე დაასრულა და ვერაფერი ვერ იხეირა.

ჩოდგჯი

ფეხბურთი

ალბანეთის თასი

ნიგერეა-ბენინი 1:0
ეგვიპტე-მოზამბიკი 2:0

საუთათმოხილი ტუნირი. ტაიანდი

დანია-პოლონეთი 3:1

ინგლისი. ჩემპიონიგა

სტოკი-ლივერპული 1:1
ვოლვზი-უიგანი 0:2
მანჩესტერი-ბარნლი 3:0
ტოტენჰემი-ჰალი 0:0
ჩელსი-სანდერლენდი 7:2
ვესტერნი-სიტი 2:0

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბარნსლი-უენსდი 1:2
ბლექპული-ქარ 2:2
ბრისტოლი-პრესტონი 4:2
დონკასტერი-უოტფორდი 2:1
იფსვიჩი-ქოვენთრი 3:2
ნოტინგემი-რედინგი 2:1
პიტერბრო-დერბი 0:3
პლიმუთი-კრ.პალასი 0:1
სკანთორპი-კარდიფი 1:1
სუონსი-ლესტერი 1:0
შეფილდმიდლსბრო 1:0

იტალია. სერია ა

კალიარი-ლივორნო 3:0
ბარი-ინტერი 2:2

იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-ალბინოლეფე 1:2
გალიპოლი-ასკოლი 1:4
მოდენა-პადოვა 0:0
პიაჩენცა-ემპოლი 0:0
რეჯინა-ჩეზენა 1:3
ტორინო-გროსეტო 4:1
ტრიესტინა-მანტოვა 2:1
ფროსინონე-სალერნიტანა 1:0
ჩიტადელა-ბრეშა 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ესპანიოლი 2:0
ბილბაო-რეალი 1:0
ბარსელონა-სევილია 4:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბეტისი-სალამანკა 1:0
ხირონა-ალბასეტე 2:2
კადისი-უესკა 0:0
კასტელონი-ლევანტე 0:0
ლას პალმასი-მურსია 0:3
სელტა-სოსიედადი 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ვერდერი 1:0
ლევერკუზენი-მაინცი 4:2
გლადბახი-ბოხუმი 1:2
ჰამბურგი-ფრაიბურგი 2:0
ჰანოვერი-ჰერტა 0:3
შტუტგარტი-ვოლფსბურგი 3:1

გერმანია. II ბუნდესლიგა

ფიურტი-კაიზერი 3:0
ალენი-ზ.პაული 0:2

საფრანგეთი. I ლიგა

ვალანსიენი-ტულუზა 1:3
გრენობლი-სენტ ეტიენი 1:2
ლე მანი-ლორიენი 0:3
ლილი-ბსკ 3:1
მონაკო-სოშო 2:0
ნანსი-ლიონი 0:2
ოსერი-ბულონი 0:0
რენი-ლანსი 1:1

საფრანგეთი. II ლიგა

ანჟე-გენგამი 1:0
ისტრი-მეცი 2:2

ჰოოტეგალია. ა ლიგა

ოლჰანენსე-ნავალი 1:0
გიმარაეში-სეტუბალი 2:2
პორტუ-ფერეირა 1:1
სპორტინგი-ნაციონალი 3:2

ბოლანდია. თასი

ჰერენვენი-ბსვ 1:3

მოტანანია. ჩემპიონიგა

ჰამილტონი-რენჯერსი 0:1
დანდი იუნ.-ჰიბერნიანი 1:0
კილმანოკი-მოზერველი 0:3
სელტიკი-ფალკირკი 1:1
ჰართსი-სტ.მირენი 1:0

საბეიძნეთი. სუპერლიგა

პაოკ-ასტერასი 1:0
ირაკლისი-აეკ 1:1
ქსანთი-ერგოტელისი 1:0

კალათბურთი

ნბა. ჩეგელიანი რემპიონატი

ინდიანა-ნიუ ორლეანი 96:101
ვაშინგტონი-საკრამენტო 96:86
შარლოტი-ფინიქსი 125:99
დეტროიტი-ნიუ იორკი 94:90
მემფისი-სან ანტონიო 92:86
ოკლაჰომა-მაიამი 98:80
იუტა-მილუოკი 112:95
კლიპერსი-კლივლენდი 101:102

ხელბურთი

საუთათმოხილო ტუნირი. საფრანგეთი

ესპანეთი-ისლანდია 27:30
საფრანგეთი-ბრაზილია 37:20

ამხანაგური მატჩი

ნორვეგია-შვედეთი 28:32

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯენტლმენები

ანდერსონი-სტალლერი 6:2;6:4
ბოგომოლოვი-სერგეევი 6:7;3:6
გუეზი-როჯერ ვასელინი 6:1;4:6;9:7
ილჰანი-კილდანი 5:7;6:1;9:11
კუბეკი-სვიტინგი 6:4;6:7;9:7
მალისე-დე ვუესტი 6:1;4:6;7:5
მარჩენკო-ძილმანი 6:2;6:1
პრეფისეზნი-ებდენი 5:7;2:6
იანგი-სუძუკი 7:6;7:6
სორენსენი-ტერნერი 6:4;7:6
დოდიგი-სირიანი 7:6;6:2
დარსისი-ზემლია 6:1;3:6;8:10
დეე ვარმანი-კაჭიჩი 3:6;6:7
რუფინი-ბაუტისტა 4:6;6:3;6:4
ვენტურა-ვეიჩი 2:6;6:7
ხოჩვარი-ნილანდი 1:6;6:4;6:3

ქალები

კრაიჩეკი-კერბერი 5:7;6:3;4:6
მინასიევა-პერი 6:3;4:6;2:6
შრუფი-კუცოვა 4:6;4:6
ვიკმაიერი-დომინგესი 6:0;6:0
ზესკირჩი-ტეტრო 3:6;3:6
მიუსბურგერი-მატეკი 3:6;7:5;6:4
პივოვაროვა-ქესანი 6:7;6:1;4:6
კამერინი-ვორაკოვა 6:7;6:0;1:6
ივოვნოვსკი-ვერლე 2:6;6:4;7:9
ფედაკი-მლადენოვიჩი 7:6;7:6
არვიდსონი-ფლორისი 3:6;6:4;6:2
კულიკოვა-პერვაკი 7:6;6:1

საჩვენებელი ტუნირი. ყოილნგი.

ჰაჩი

ჯენტლმენები

ჯოკოვიჩი-ტომიჩი 4:6;6:3;5:7
ვერდასკო-ცონგა 7:5;6:3

აგპ. სიდნეი. ჰაჩი

ფინალი

გასკეტ-ბაგდატისი 4:6;6:7

ეგპ. ჰობარტი. ჰაჩი

ფინალი

პეერი-ბონდარენკო ა. 2:6;4:6

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგელიანი რემპიონატი

დალასი-დეტროიტი ..... 2:2(1:0ბ)
კოლამბუსი-ჩიკაგო 5:6
კოლორადო-ნიუ ჯერსი 3:1
ლოს ანჯელესი-ბოსტონი ..... 3:3(1:0ბ)
სან ხოსე-ედმონტონი 4:2
აილენდერსი-ბუფალო ..... 2:2(1:0ბ)
მონრეალი-ოტავა 2:4
ფლორიდა-ტამპა ბეი 5:2
კაროლინა-ატლანტა 3:5
სენტ ლუისი-რეინჯერსი 4:1
ფინიქსი-ბინესოტა 6:4
ვანკუვერი-პიტსბურგი 6:2

მომზადა მხელაურელანმ

დეპარდიესთან შეხვედრის შემდეგ მთელი სხეული მტკივა ხოლმე

დღის კალენდარი

18 იანვრისთვის

წლის მე-18 დღე, ახალ წლამდე დარჩა 347 დღე.

საეკლესიო კალენდარი

წმიდა მღვდელმოწამე თეოპემპტოსი, ნიკომიდიის ეპისკოპოსისა და მოწამე თეონასი, მოგვყოფილისა; ღირსი დედის სვინკლიტიკიანა აღექსანდრიელისა; წმიდა წინასწარმეტყველ მიქაესი; ღირსი დედის აპოლინარიასი; ღირსთა მამათა: ფოსტერი მეუდაბნოისა, მინასი და გრიგოლ კრიტელისა; ღირსმოწამე რომანე კარპენისელისა.

წმიდა წინასწარმეტყველი მიქეა წმიდა წინასწარმეტყველ ილიას თანამედროვე იყო.მან დაღუშვა უწინასწარმეტყველა აქაბ მეფეს ასირიელებთან ომში, რისთვისაც იგი დილეგში ჩააგდეს. მისი წინასწარმეტყველება აღსრულდა და აქაბ მეფის სიკვდილის შემდეგ წმიდა მიქეა მოწამებრივად აღესრულა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 900 წლით ადრე.

ღირსი ფოსტერ მეუდაბნოე ერის მაღალ მთაზე იღვწოდა. თავისი საკვირველმოქმედების ძალითა და ცხოვრების სიწმინდით მან მრავალნი განაშორა მწვალებლობისაგან.

ღირსი მინა 50 წლის განმავლობაში მოსაგრეობდა სინაის მთის მონასტერში. იგი მშვიდობით ჩაბარდა უფალს VI საუკუნის მეორე ნახევარში.

წმიდა ღირსმოწამე რომანე კარპენისელი დაიბადა ქალაქ მორეაში. იგი ათონის წმიდა მთაზე იღვწოდა ბერად და კონსტანტინოპოლში ევნო ქრისტესათვის მაჰმადიან თურქთაგან, რომელთაც მას თავი მოჰკვეთეს.

ღირსი გრიგოლ კრიტელი დაიბადა კუნძულ კრიტოსზე, 760 წელს. ქრისტიანული აღზრდა-განათლება მან თავის მშობლებთან მიიღო. ეს ის დრო იყო, როცა ხატმებრძოლი მწვალებლები ავიწროებდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს.ჭაბუკმა გრიგოლმა, იმისთვის, რომ არ გადასულიყო ჭეშმარიტ აღმსარებლობაზე, დასტოვა მშობლიური სახლი და სელეკიაში წავიდა, სადაც კეთილმსახურ ცხოვრებას ეწეოდა.20 წლის ღირსი გრიგოლი იერუსალიმს გაემგზავრა, სადაც 12 წელიწადი იცხოვრა. იქიდან წმიდანი რომში გადასახლდა და იქ ბერად აღიკვეცა. რომში ღირსი გრიგოლი სულიერად დაუახლოვდა წმიდა მიქაელს, სინადის ეპისკოპოსს, რომელმაც კრიტის კონცხზე მდებარე საკანში წაიყვანა (მარმარილოს ზღვა). იქ წმიდანი დიდ ღვაწლთ ეწეოდა ბერულ ცხოვრებას. წმიდანი დაახლოებით 820 წელს გარდაიცვალა.

დაიბადნენ:

1689 — შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე, ფრანგი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1765 წელს.

1848 — მეთიუ უები, ინგლისელი კაპიტანი. 1875 წლის აგვისტოში პირველმა გადაცურა ლამანშის სრუტე.

1873 — ალექსანდრე ჩხეტია, სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1949 წელს.

1904 — ბორის ბაბოჩკინი, რუსი მსახიობი და რეჟისორი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1944 — ზურაბ ტყემალაძე, პოლიტიკური პარტია „მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი.

გახდაისვენენ:

1223 — ლაშა-გიორგი IV, საქართველოს მეფე 1213 წლიდან, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე.

1547 — პიეტრო ბემბო, იტალიელი მწერალი, აღორძინების ეპოქის ლიტერატურის თეორეტიკოსი.

1862 — ჯონ ტაილერი, აშშ-ს მე-10 პრეზიდენტი.

1886 — ჩესტერ ალან არტური, აშშ-ს 21-ე პრეზიდენტი.

1936 — ჯოზეფ კიპლინგი, ინგლისელი მწერალი. 1907 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

მოვლენები:

1535 — ესპანელმა კონკისკადორმა ფრანცისკო პისარომ დაარსა პერუს დღევანდელი დედაქალაქი ლიმა.

1654 — პერეისლავსკის რადამ მიიღო გადაწყვეტილება მალორუსიის რუსეთთან მიერთების შესახებ.

1778 — კაპიტანმა კუკმა აღმოაჩინა სანდვიჩის კუნძულები, რომელიც დღეს ჰავაის სახელითაა ცნობილი.

1801 — პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა პაველ I-ის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა.

1871 — პრუსიის მეფე ვილჰელმი გერმანიის პირველ იმპერატორად გამოაცხადეს.

1871 — ვერსალში გამოაცხადეს გერმანიის იმპერიის შექმნის შესახებ.

1912 — ექსპედიციამ რობერტ სკოტის ხელმძღვანელობით სამხრეთ პოლუსს მიაღწია. უკან დაბრუნებისას სკოტი და მისი თანამგზავრები დაიღუპნენ.

1926 — ეკრანებზე გამოვიდა ეიზენშტაინის ფილმი „პოტემკინის ჯავშანმატარებელი“.

1929 — ტროიკი საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს.

1990 — რუსეთის სათათბიროს პირველ სხდომაზე მიიღეს დეკლარაცია რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის შესახებ.

მეფანოზი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— და ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია?

— მახსოვს, ბავშვობაში ტარზანის როლის შესრულებაზე ვოცნებობდი. ისე გამოვიდა, რომ კინოში რობინზონ კრუზო ვითამაშე, თანაც როლში შესვლა სულაც არ გამჭირვებია. რაც უფრო მეტს ვთამაშობდი საკუთარ თავს, მით უკეთ გამომდიოდა.

— რა არის კინო თქვენთვის — ხელოვნება თუ გართობა?

— უპირველეს ყოვლისა, გართობა. რომელიც ხანდახან, საკმაოდ იშვიათად, ხელოვნებად იქცევა ხოლმე. გარდა ამისა, საკუთარი ბავშვობის უსასრულობამდე გაგრძელების შესაძლებლობა — მთელი ცხოვრება ვთამაშობ. სწორედ ამიტომ ვგრძნობ თავს ასეთ იღბლიანად. თავს ზემოთ საავდრო ღრუბლები რომ გროვდება, ადვილად ვფანტავ. ბედნიერ ადამიანად ყოფნის და მარცხის ადვილად გადატანის დიდი ტალანტი მაქვს.

— დიდი მსახიობები, ჩაპლინის გამოკლებით, კომიკოსები არ ყოფილან. თქვენ ეს კომპლექსებს ხომ არ გიქმნით?

— სულაც არა. ყველას თავისი ამბლუა აქვს. ერთი მანახა ტრაგიკოსი, რომელიც მაყურებლის გაცინებას შეეცდება. გარდა ამისა, კომედია იყო და რჩება პოპულარული ჟანრად.

— საკუთარ ძველ ფილმებს რომ უყურებთ, თუ გეცინებათ?

— ადრე არ ვუყურებდი, ახლა სიამოვნებით ვაკვირდებ ამას. წლების მატებასთან ერთად საკუთარი თავის მიმართ უფრო შემწყნარებლური გავხდი და ახლა მეჩვენება, რომ ახალგაზრდობაში არც ისე უიმედო ვიყავი.

— „არსადროს ვიყავი მორგებული საზოგადოებაზე, სადაც ვცხოვრობდი“ — თქვით ერთბელ თქვენ. ახლა თუ მოახერხეთ ადაპტირება?

— ჰოდ და არაც. დღემდე ვცდილობ საზოგადოებასთან გარკვეული დისტანცია დავიცვა. ალბათ, ეს ყოველდღიური რეალიებისაგან დაცვის რეაქციაა, რასაც ჩემი დაბნეულობის გამო ვერ ვეგუები.

— ნუთუ კვლავ ასე დაბნეული ხართ?

— შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე ახალგაზრდობაში. დაბნეული არის ადამიანი, ვინც რაღაც საკუთარზე, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანზე ფიქრობს. სხვა დანარჩენი მისთვის არ არსებობს. ცოტა ხნის წინ წვეულებაზე ისე ჩავფიქრდი, რომ პირი ხელსახოცით კი არა, ჩემი მეზობლის, შარლ აზნავურის თეთრი შარფით გავიწმინდე. შემდეგ დიდხანს ვუხდიდი ბოდიშს. მიუხედავად იმისა, რომ შარლს ძალიან ვუყვარვარ, აშკარად განაწყენებული იყო და ცერად იღიმებოდა.

— გულმავიწყობა თავს ხშირად გახსენებთ?

— სულ უფრო და უფრო მეტად. განსაკუთრებით, თუკი სცენაზე როლი მავიწყდება. თითქმის ყოველდღე რაღაცას ვკარგავ, ხან მანქანის ან სახლის გასაღებს, ხან სათვალეს...

— მიუხედავად ამისა, საქმიანი ალღო არ გღალატობთ. თქვენს ღვინოს „შატო ბელ ეიეს“ არცთუ ურიგო შემოსავალი აქვს.

— მართლაც, მასზე მოთხოვნილება არსებობს. საფრანგეთის სამხრეთით 20 ჰექტარი ვენახი მაქვს. წელიწადში 80 ათას ბოთლს იძლევა. ეს სავსებით საკმარისია და მის გაყიდვასთან დაკავშირებით პრობლემები არ მაქვს. სხვათა შორის, კომერციით მე კი არა, ჩემი და არის დაკავებული.

— თქვენსა და დეპარდიეს შორის შავმა კატამ ხომ არ გაირბინა, ეკრანზე ერთად ველარ გხედავთ.

— სულაც არა, თუმცა, იშვიათად ვხედავთ ერთმანეთს. რომ მხვდება, გულში ისეთი ძალით მიკრავს, შემდეგ ყველაფერი მტკივა. ცოტა ხნის წინ მონრეალში ერთად აღმოვჩნდით და მისი მოხვევნის შემდეგ რამდენიმე დღე მასაჟისტთან დავდიოდი.

— თავისი ნიჭით თქვენთან ყველაზე ახლოს რომელი მსახიობია?

— ალბათ, იტალიელი კომიკოსი რობერტო ბენინი, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ზოგიერთ თავის ფილმში, მაგალითად, „პინოქიოში“ მე მგავს.

— ჟან რენო და ქრისტიან კლავიე პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის საუკეთესო მეგობრები არიან. თქვენ მათ წრეში მოხვედრის ბედნიერება არ გხვდათ წილად?

— მე ყოველთვის უნდობლობით ვეკიდებოდი მსახიობებს, რომლებსაც ძალაუფლების დერეფნები და სალონები მოსწონთ. მე კომედიანტი ვარ და ყველასთვის ვთამაშობ და არა რჩეულებისათვის.

— ხშირად გხედავენ ჩოგბურთის შეჯიბრებებზე, კერძოდ „როლან გაროსის“ ტურნირზე.

— პარიზში კვირაში ერთხელ მაინც ვთამაშობ და მთავარ შეჯიბრებებს ყოველთვის ვუყურებ.

— ვინ უფრო მეტად მოგწონთ — დები უილიამსები თუ მარია შარაპოვა?

— ადრე უილიამსები მომწონდა, ახლა შარაპოვა, თუმცა, იმედი უნდა გაგიცრუოთ, უფრო ვაჟთა ჩოგბურთი მიმწონს, იგი უფრო დახვეწილი და გონიერულია. სამწუხაროდ, გოგონები ახლა მხოლოდ უკანა ხაზიდან თამაშობენ და იმარჯვებს ის, ვინც უფრო მაგრად უტყაპუნებს ბურთს.

— პირადი ცხოვრების თვალსაზრისით თუ „დაშშმინდით“?

— ჩემს ბრაზილიელ მეგობარ ქალთან ერთად ვცხოვრობ, ასე 50 წლისაა, მაგრამ კვლავინდებურად ძალიან ლამაზია. ყოველწლიურად თვე-ნახევრით მისი შესანიშნავი ქვეყნის პლაჟებზე ვსტუმრობ.

— ცრუმორწმუნე ადამიანები ხშირად სტუმრობენ მეთხავეებთან, ჰოროსკოპებს კითხულობენ. თქვენ?

— ჰოროსკოპებს არ ვკითხულობ. ჩემი ბევრი მეგობარი ნათელმხილველებს აკითხავს, მაგრამ მე არ მინდა, რომ ვინმემ მომავალი მიწინასწარმეტყველოს. ამიტომ მკითხავებს ხელს არ ვუწვდი, მეშინია, რაიმე საშინელება არ დაინახონ.

— ავტომობილიდან მოტოციკლზე გადაჯდომით, მოძრაობის წესების დაცვა არ გავიწყდებათ?

— ვცდილობ, დავიცვა წესები, რადგან საშინლად მეშინია პოლიციელების. არც კი ვიცი, რატომ. ისე, ყველაფერს მპატიობენ. საკმარისია ჩაფხუტი მოვიხსნა, ჟანდარმი მაშინვე მეუბნება: „ა ეს თქვენ ხართ, ყველაფერი რიგზეა“. თუმცა, ზოგი მაინც მთხოვს დოკუმენტებს. ჯიბეებში ქექვას რომ ვიწყებ, პოლიციელი მაშინვე თავის კოლეგებს ეძახის: „ჩქარა, აქ მოდი, პიერ რიშარი მორიგ ნომერს აჩვენებს, სიცილით მოკვდები“. ყველაზე მეტად ის ახალისებთ, რომ ალელვებული ხშირად, მართვის მოწმობის ნაცვლად ჩეკების წიგნაკს ვანდი ხოლმე.

— ყველაზე მეტად რას აფასებთ ცხოვრებაში, ქალებს, ფულს, პოპულარობას?

— წონასწორობის საკითხია. ხშირად, ძალიან პოპულარული თუ ხართ, სიყვარული გაკლიათ, ეს კი კარგი არ არის. 75 წლის ვარ და მიზეზი არ მაქვს, ბედს ვემდუროდე.

— და მაინც, ნუთუ არ გწყდებათ გული, რომ კინოში ნახევარსაუკუნოვანი კარიერის განმავლობაში კანის ფესტივალის ჯილდო არ გაქვთ?

— ცოტათი მწყდება, მაყურებლისაგან განსხვავებით, კრიტიკამ მხოლოდ ცოტა ხნის წინ დამფასა. ვისურვებდი, რას დაწერენ ჩემი სიკვდილის შემდეგ. ვფიქრობ, მთავარი ჯილდოები ჯერ კიდევ წინ მაქვს.

— 75 წლის ასაკში თავს მოხუცად გრძნობთ?

— განა ვგავარ მოხუცს? ჩემს გარეგნობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ხასიათი 18 წლის ბიჭისა მაქვს, თუმცა, ისე ტანადი აღარ ვარ და მუცელიც დამეტყო.

— კალამს რატომ მოჰკიდეთ ხელი, „საფოსტო ალსარებები“ — ეს ხომ თქვენი მესამე წიგნია?

— მთელი ცხოვრება მსოფლიოს ყველა კუთხიდან წერილებს ვიღებდი. მათ შორის არის სასაცილო, გულისამაჩუყებელი, გულწრფელი, მიამიტი წერილები. მათ საფუძველზე ჩემი ცხოვრების აღწერა გადავწყვიტე. ამ წიგნის მიხედვით ჩემი „ერთი კაცის შოუსთვის“ სპექტაკლიც მოვამზადე.

— სად აპირებთ მის ჩვენებას?

— ჯერ პროვინციაში გავაშალაშინებ. შემდეგ პარიზში ვაჩვენებ.

— თქვენი ბოლო ფილმი „ვიქტორი“, რომელიც ეკრანებზე შემოდგომაზე გავიდა, ქერათმიანი მამაკაცის ახალი დაბრუნებაა?

— სულაც არა. ჩვეულებრივ, სიმპათიურ და მოკრძალებულ ადამიანებს წარმოვაჩენ. ამჯერად კი ახალგაზრდა რეჟისორ ტომ ჯილუ ფილმში არამზადას როლს ვთამაშობ. უსახლკარო ვიქტორს ახალგაზრდა ოჯახი „იშვილებს“ და მწარედ ინანებს.

— უცნაურია, რომ ახალგაზრდა რეჟისორებს შორის თქვენზე ასეთი მოთხოვნილებაა.

— მეც მიკვირს, ისინი ამბობენ, რომ ჩემს ფილმებზე გაიზარდნენ და ჩემი თაობის რეჟისორებზე უფრო მეტად მაფასებენ.

— კიდევ რა ფილმებზე მუშაობთ.

— ანუკ ემესთან ვაპირებ გადაღებას, მაგრამ საშინელი ცრუმორწმუნე ვარ და ჩემს ფილმებზე საუბარი არ მიყვარს. დიდი ხანია, რაც შევამჩნიე, საკმარისია რაიმე ვთქვა ფილმზე, როგორც ვაპირებ, ვითამაშო, რომ რაიმე მიზეზით აღარაფერი გამოდის.

— რა როლები არ გითამაშიათ?

— მეფე ლირის, რომლისთვისაც კვლავინდებურად ძალიან ახალგაზრდა ვარ და რა თქმა უნდა, დონ კიხოტისა, ვისთანაც რაღაც საერთო მაქვს. ორივეს უსამართლობა აღგვაშფოთებს. არც მე შემიძლია მასთან ბრძოლა, ბევრს ვხმაურობ, პროტესტს გამოვთქვამ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ...

მოაზრდა ვენდა ოფერს

სჯანვოხდი



1. სახელმწიფოთა კავშირი; 2. სუბტროპიკული ბუჩქი; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. სასტუმროს მსახური ბიჭი; 5. საჭმელი სოკო; 6. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 7. ...სარიშვილი; 8. საერთო საქმეში ჩადებული წილი; 9. ძვირფასი ქვა; 10. „...შეკაზმავს ცხენს?“ 11. აღლუმი; 12. სასარგებლო წიაღისეული; 13. ...სხირტლაძე; 14. ძერძერუკი; 15. ... კაპონე; 16. ტურგენევის მოთხრობა; 17. მოკლე, სწორი ხმალი; 18. არსაკიიის მეტსახელი; 19. ასო „უ“-ს სახელწოდება; 20. რისამე ანაზღაურების ცხრილი; 21. მგოსანი, რომელიც თავის ლექსებს საკრავზე ამღერებს; 22. ჭამის სურვილი; 23. დეკორატიული მცენარე; 24. ხახვის სახეობა; 25. კორეული ავტომობილი; 26. საგამოფენო დაფა; 27. ფირნიში; 28. თამაში ჯოხებითა და ბურთით; 29. წყვილთა ამერიკული სამეჯლისო ცეკვა; 30. მარტი ძველქართულად; 31. სახელმწიფო აზიაში; 32. საფეიქრო ბანანი; 33. ქიმიური ელემენტი.

შეადგინა იგორ კოხაძ

ნინა ნომეხმი გამოქვეყნებული ჯოხვოხდების პასუხები

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვირტუოზი; 2. ალუბალი; 3. შკოდა; 4. კაზუარი; 5. ცანგალა; 10. მასანდრა; 11. რეპორტიორი; 12. ბედუინი; 15. ამაშუკელი; 16. ანიელი; 17. გუანაკო; 20. პონტო.

თარაზულად: 6. ცივილისტიკა; 7. ბაიდარა; 8. ანალგია; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. სენსეი; 18. თურმანიძე; 19. ხუნდი; 21. გორდა; 22. ბილონი; 23. კოსტელიჩი; 24. ბეისბოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხონთქარი; 2. უინფრი; 3. გლოსიტი; 4. აშკენაზი; 7. ზალცბურგი; 8. ტრიპიტაკა; 9. ჰანდიკაპი; 13. ქრისტინე; 14. მალპენსა; 15. ხილნარი; 16. სტოპერი.

თარაზულად: 5. ხოზაფინი; 6. გულრიფში; 10. დაცანი; 11. ტრაკი; 12. ბენედიქტინი; 17. ზინგერი; 18. სტაპელი; 19. ნექტარი; 20. ჟურფიქსი.

!;□2□“§ ანვარი

ამინდის პროგნოზი

სოხუმი

18.01 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 12-13
19.01 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
20.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
21.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
22.01 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 6-7
23.01 წვიმა, დღისით — 13-13, ღამით — 6-7
24.01 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1

ზუგდიდი

18.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 13-14
19.01 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
20.01 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
21.01 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
22.01 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 7-8
23.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
24.01 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 3-4

ბათუმი

18.01 ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 13-14
19.01 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 12-13
20.01 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 11-12
21.01 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 7-8
22.01 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 9-10
23.01 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
24.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4

ქუთაისი

18.01 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 11-12
19.01 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 10-11
20.01 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 10-11
21.01 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
22.01 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
23.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 12-13, ღამით — 6-7
24.01 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 4-5

ფოთი

18.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
19.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — 3-4
20.01 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 4-5
21.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
22.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
23.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 2-3
24.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3

თბილისი

18.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — 1-2
19.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 3-4
20.01 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 4-5
21.01 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
22.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
23.01 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
24.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 0-1

გურჯაანი

18.01 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
19.01 წვიმა, დღისით — 5-6, ღამით — 2-3
20.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
21.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
22.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — -2 -1
23.01 ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
24.01 ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2

თანგლისი

18.01 თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -1-0
19.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — 1-2
20.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
21.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
22.01 ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
23.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — 0-1
24.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -2 -1

დმანისი

18.01 ღრუბელი, დღისით — -3 -2, ღამით — -10 -9
19.01 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -9 -8
20.01 თოვლი, დღისით — -3 -2, ღამით — -9 -8
21.01 თოვლი, დღისით — -3 -2, ღამით — -14 -13
22.01 თოვლი, დღისით — -4 -3, ღამით — -14 -13
23.01 თოვლი, დღისით — -6 -5, ღამით — -12 -11
24.01 თოვლი, დღისით — -7 -6, ღამით — -13 -12

ეკონომიკური კრიზისი და საგადასახადო შემოქმედება

გასული წლის ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა მოსახლეობისაგან ფულის წარმოქვის კანონიერი მეთოდების შექმნის მიმართულებით შესაშური გამომგონებლობა გამოამჟღავნეს. მათი ნაწილი ლამის ანეკდოტურ ხასიათს ატარებდა და დღემდე განხილვის საგნად რჩება, ზოგიერთი ეგზოტიკური გადასახადი კი უკვე მოქმედებს.

პოტოქსის გადასახადი

აშშ-ის სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჰარი რიდმა ყოველგვარი სამედიცინო აუცილებლობის გარეშე, მხოლოდ პაციენტების კაპრიზის გამო გაკეთებული კოსმეტიკური სამედიცინო პროცედურისათვის 5%-იანი გადასახადის დაწესების წინადადება წამოაყენა. მის წინადადებას მაშინვე „ბოტოქსის გადასახადი“ უწოდეს. ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში ამერიკელმა სენატორმა ნაოჭების გასწორების, ბოტოქსის ინექციის, მკერდის გაზრდის ოპერაციების დაბეგვრის წინადადება წამოაყენა. მისი თქმით, ათი წლის განმავლობაში ეს გადასახადი ხაზინას 5.8 მილიარდი დოლარით უზრუნველყოფდა. საკანონმდებლო ინიციატივის წინაღალდეგ განსაკუთრებული სიმკვეთრით ქალთა ეროვნული ორგანიზაცია გამოვიდა, რომელმაც ეს გადასახადი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციად მიიჩნია, რადგან, სტატისტიკის თანახმად, კოსმეტიკური ოპერაციების 86%-ს ქალები იკეთებენ.

ცხიმის გადასახადი

დანიის პარლამენტმა, თავის მხრივ, კვების პროდუქტებში ცხიმის შემცველობის დაბეგვრის, გარდა ამისა, შოკოლადის, სხვა ტკბილეულისა და გამაგრილებელი სასმელების გადასახადის შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება ხალხს ჯანმრთელობაზე ზრუნვით ახსნეს, რადგან დანიაში ჭარბი წონის მქონე ადამიანების რიცხვი განუხრელად იზრდება. ტკბილი და ცხიმიანი კერძების მოყვარულთა ხარჯზე ბიუჯეტი წელინადში დამატებით 1.5 მილიარდ კრონს (200 მილიონი ევრო) მიიღებს. მაქსიმალური გადასახადი კილოგრამ ყველზე, კარაქზე, მარგარინსა და მცენარეულ ზეთზე 25 კრონს (3.4 ევრო) შეადგენს. თავის დროზე დანია ევროკავშირის პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც გამაგრილებელ გაზიან სასმელებზე გადასახადი შემოიღო და იგი დღეს ყველაზე მაღალია — ლიტრზე 1.14 კრონს (15 ევროცენტი) შეადგენს.

რუმინეთში 1 მარტიდან ფასტფუდის დაბეგვრა შეიძლება აამოქმედონ. იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტმა კანონშროექტი დაამტკიცა, ყველა მწარმოებელსა და იმპორტიორს, რომელთა პროდუქციაც სწრაფი კვების ობიექტებზე იყიდება, საფულის გახსნა მოუწევს.

არაჯანსაღი კვების პროდუქტების დაბეგვრის იდეა სხვა ქვეყნის პოლიტიკოსებსაც მოუვიდათ თავში. რუმინეთის მსგავსად, ანალოგიური წინადადება ტაივანის ჯანდაცვის სამინისტრომაც წარმოადგინა, აშშ-ში კი, სადაც ფასტფუდი განსაკუთრებით პოპულარულია, ასეთი გადასახადის შემოღების შესაძლებლობას უმაღლეს დონეზე იხილავდნენ. საფრანგეთში 2008 წელს ძალიან ცხიმიან ან მარილიან კერძებზე დამატებული ღირებულების ოთხჯერ გაზრდას აპირებდნენ. ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს, რადგან მას მოსახლეობის უღარიბესი ფენები შეიძლება დაეზარალებინა, რომლებიც იაფფასიან პიცებსა და ჰამბურგერებს სხვებზე ხშირად ყიდულობენ.

მარილის გადასახადი

ლატვიის ექიმთა საზოგადოების პრეზიდენტმა, პეტერის აპინისმა, რომელიც შეთავსებით პრემიერ-მინისტრ ვალდის დომბროვსკისის თანაშემწეც გახლავთ, ჯანმრთელობისათვის მაგნე, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის სასარგებლო პროდუქტების სიაში მარილისა და შაქრის შეტანა გადაწყვიტა. ექიმმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მლაშე კერძების მოხმარება სისხლის ნნევას ზრდის და სიცოცხლის ხანგრძლივობას ორი-სამი წლით ამცირებს. შაქრის ბოროტად გამოყენება შაქრიანი დიაბეტის მიზეზად შეიძლება იქცეს. ამ დაავადებით ლატვიაში ყოველწლიურად 4 ათასამდე ადამიანი იღუპება. პეტერის აპინისის აზრით, მარილსა და შაქარზე, თამბაქოსა და ალკოჰოლის მსგავსად, სააქციზო მოსაკრებელი უნდა იქნეს შემოღებული.

ჩატვირთვა პირდაპირ ბიუჯეტში

დღითიდღე იზრდება იმ სახელმწიფოების რიცხვი, სადაც ხელისუფლები ინტერნეტ-მეკობრეების დაბეგვრის შესაძლებლობას უფიქრდებიან. სომალელი მეკობრეების მსგავსად, ინტერნეტ-მეკობრეების ხელში ჩაგდება არც ისე ადვილი საქმეა.

ბრიტანეთის ოფშორული ზონის, კუნძულ მენის ადმინისტრაციამ ფაილების გაცვლის ქსელის ყველა მფლობელის თვეში 1 ევროთი დაბეგვრა გადაწყვიტა, თუმცა ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებზე ჩაირიცხება, რომლებიც საავტორო უფლებების დაცვაზე ზრუნავენ.

გერმანიის პარლამენტში „მწვანეთა“ პარტიის წარმომადგენლებმა უფრო დიდი ნაბიჯი გადადგეს და ინტერნეტის ყველა მომხმარებლის დამატებითი დაბეგვრის წინადადება წამოაყენეს.

უკრაინის პარლამენტში „იულია ტიმოშენკოს“ ბლოკის წევრებმა ასევე წარმოადგინეს კანონშროექტი, რომელიც ინტერნეტით სარგებლობაზე 1%-იანი გადასახადის დაწესებას გულისხმობდა. ამგვარად, პარლამენტის დეპუტატებმა ინტერნეტი თეატრსა და კინოთეატრებს გაუთანასწორეს. მათი ვარაუდით, შემოსული თანხა სამამულო თეატრისა და კინოს განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

ამ მიმართულებით თავისი სიტყვა თქვა რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელმა, ნიკიტა მიხალკოვმა, რომელმაც რუსეთში იმპორტირებულ ან წარმოებულ თითოეულ „სუფთა“ დივიდი ფირფიტაზე გადასახადის დაწესების წინადადება წამოაყენა.

შიშველი მოგება

ნიუ იორკის შტატის გუბერნატორმა, დევიდ პატერსონმა, ინტერნეტით მუსიკის, ფილმებისა და კომპიუტერული პროგრამების გაყიდვის 4%-იანი დაბეგვრის წინადადება წამოაყენა. მისი პოლიტიკური ოპონენტების განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოინვია ის გარემოებამ, რომ გუბერნატორის განცხადებაში პორნოგრაფიული პროდუქციის დაბეგვრის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი. ამ გადასახადის ოპონენტების აზრით, მისი შემოღება პორნოგრაფიის ლეგალიზების მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება იქცეს.

ინტიმური დამატებითი ღირებულების გადასახადი

18 წლის რუმინელმა, ალინა პერრჩამ, რომელიც გერმანიაში უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩავიდა, ინტერნეტ-აუქციონზე ქალწულობის გაყიდვა გადაწყვიტა. 45 წლის იტალიელმა ბიზნესმენმა თავისი უბინოება 10 ათას ევროად შეაფასა. „ყიდვა-გაყიდვის“ აქტი ვენეციაში, ფეშენებელურ სასტუმროში შედგა, მაგრამ შეთანხმება გერმანიის ტერიტორიაზე დაიდო. ამიტომ ადგილობრივმა ფინანსურმა ხელისუფლებმა პერრჩასაგან ქალწულობის გაყიდვის გადასახადის გადახდა მოითხოვეს. საგადასახადო სამსახურის მესვეურებმა აუქციონი, უბრალოდ, ფასიან სქესობრივ მომსახურებად მიჩნიეს, რაც, გადასახადების გადაუხდელობისაგან განსხვავებით, გერმანიაში სავსებით კანონიერ საქმიანობად ითვლება. გარდა ამისა, მათი აზრით, სტუდენტმა საკმაოდ მცირე ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი თანხა იშოვა, ამიტომ მას დამატებითი ღირებულების გადახდა შეიძლება მოსთხოვონ. ამგვარად, რუმინელი გოგონას შემოსავლის ნახევარზე მეტი სახელმწიფო ბიუჯეტში შეიძლება აღმოჩნდეს.

ნაძურდალის გადასახადი

უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი წარადგინა. იმის გამო, რომ წინა წელს ფიზიკური პირებისათვის გადასახადის გაზრდა პოლიტიკური მოტივებით მიზანშეწონილი არ იყო, მაქსიმალურად გაიზარდა დასაბეგრი ობიექტებისა და ოპერაციების ბაზა. კერძოდ, ახალი კოდექსი ქრთამებისა და მოპარული ღირებულების მიხედვით გადასახადის გადახდასაც გულისხმობს. ამასთან, გადასახადს სასაძარცლო განაჩენში მოყვანილი თანხის მიხედვით გადაითვლიან.

გარდაცვალე — გადაიხადე

ლატვიის დამკრძალავი სამსახურების ასოციაციამ „მიცვალებულთა გადასახადის“ შემოღების წინადადება წამოაყენა. საფლავის თითოეული კვადრატული მეტრისათვის გადასახადს გარდაცვლილის ახლობლები გადაიხდიან. ამ გადასახადმა უნდა შეეცვალოს ერთჯერადი გადასახადი (25 ლატი), რომელსაც სასაფლაოების მოსავლელად დაკრძალვის დროს იხდიან. ჩინოსნები ამ ინიციატივას გარდაცვლილთა ახლობლებზე ზრუნვით ხსნიან, რომელთაც ახლობლის გარდაცვალების შემდეგ ისედაც დიდი ფინანსური ტვირთი აწვებათ. არაფერია ნათქვამი იმ სანქციების შესახებ, რომლებიც ამ გადასახადის გადაუხდელობას შეიძლება მოჰყვეს.

სწრაფი ინტერნეტის გადასახადი

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლები სტაციონარული ტელევიზორების გადასახადის წინადადებით გამოვიდნენ. გადასახადმა წელიწადში 6 გირვანქა უნდა შეადგინოს. აღსანიშნავია, რომ კავშირგაბმულობის ამ ტრადიციული საშუალებით სარგებლობის გადასახადი — 175 მილიონი გირვანქა — წელიწადში სწრაფი ინტერნეტის განვითარებას უნდა მოხმარდეს.

მაჩხდა ფანჯი თეურს

TV პროგრამა

ოთხშაბათი, 18 იანვარი

07.00 ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** სერ. **"ანელიას სახე" 13.30** დოკ. ფილმი "ხაზები, ფორმები, ფერები" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"პირისპირ" 17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფ. "პილტონები" **19.05** მეხსიერება **19.45** ნანინა **21.00** სერ. **"ანელიას სახე" 22.00** თოქ-შოუ "არენა" **23.30** ერთი ისტორია **00.00** კიკ-ბოქსინგი **01.30** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი **"ვის ეშინის ვირჯინია ულფის"** (U) (ე. ტეილორი)
ბ) მხ. ფილმი **"ბოთლით გაგზავნილი წერილი"** (12) (კ. კოსტნერი)

19.00 ან. სერ. **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ" 22.00** სერ. **"ანელიას სახე" 23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ფული მოსავარია"**

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"უურისაძიების ცეხლში" 11.00** ვანოს შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.40** კულიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისაკენ" 13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროსიერდი ანგელოზს" 15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი" 15.50** სერ. **"გულის ქანცი" 16.50** სერ. **"დრო ხუთნი და ლაბაზანი" 18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი" 19.00** სერ. **"ისევ შვილვაარ" 19.50** სერ. **"ანნელის სიყვარული" 22.00** კონცერტი – ცისფერი ტრიო **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი **"ქორბანტები" 04.00** მხ. ფილმი **"ეროიკი"**

პროგრამის მოწოდებას არხი განაახლებს 25 იანვრიდან

08.00 ან. ფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"ბერაუსეული დინასტია" 10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 11.00** სერ. **"ბუსუკები" 12.00** სერ. **"სი-ეს-ეი" 12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ.**"თოვლის დედოფალი" 16.00** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ბუსუკები" 19.00** სერ. **"ჩინგო ვეგრინე" 20.00** ზღაპარიყო **20.15** ფარული ომერი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 23.30** სერ. **"სი-ეს-ეი" 00.30** მხ. ფილმი (სუბტიტრით)

08.00, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.50** მხ. ფილმი **"შრბა შინლლოვბთან" 11.45**, **21.00** სერ. **"ცხოვრების ბარიცხესში" 12.45** მხ. ფილმი **"სპაის ფორლდ ფილმი" 14.50** "ფერისცვალება" **15.20** მხ. ფ.**"ერთვნელი განაი" 18.00** სერ. **"ოერნლიანი არდადეგები" 19.00** ნოვოსტი **19.30** სერ. **"მამები" 22.00** პერსონა **23.00** მხ. ფილმი **"ნაპოლეონი"**

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** სად უჩინარდებიან ჩვმპაოონები **10.55** კვირიაკე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.10** მხ. ფილმი **"ოთერი ბარაბანი" 13.30** კონცერტი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** დოკ. ფილმი "გეთს

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი
2009 წლის 18 იანვრის ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაუფიქსირა:

აშშ
დოლარი
— 1,6825

ევრო
—2,4035

ინგლისური
გირვანქა სტერ-
ლინგი — 2,7536

რუსული
რუბლი
— 0,0533

ᲯᲐᲛᲘᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲠᲘᲗᲮᲘ
ცალკეულიმიღრეკილობა7 თოვლი7ტემპერატურადღისით2“-,7 ღამით21.-
ᲓᲐᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲠᲘᲗᲮᲘ ცალკეული მიღრეკილობა7ტემპერატურადღისით 21.-?7 ღამით21.!7
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐᲠᲘᲗᲮᲘ ცალკეული მიღრეკილობა7თოვლი/ტემპერატურა დღისით2-„-?7 ღამით2-!%-%

ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲮᲝᲒᲜᲝᲖᲘ
18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ
„ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“
ᲣᲔᲒᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘᲐ

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუსისლის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲔᲢᲭᲝᲥᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲔᲡ

გასული წელს სპორტული თვალსაზრისით ქართველი გელმძღვანელები ყველაზე მეტად საქართველოს ჯალბურთელთა ნაჯრებმა გაახარა. ჰოდა, ამ სიხარულის ნაყოფი, ანუ ა დივიზიონის ჯუნიორებს ბანდებიც გასილებით ძლიერი მეხვდა. თუ რა მოხდება, ამას ჯონჯრეტელ აგვისტომი გავიგებთ, მანამდე კი ჯუნიორების დეტალებზე ვისაუბოთ.

ევროპის ჩემპიონატი 2011 წელს ლიგაში გაიმართება. ამიტომ, მასპინძელ ნაკრებთან ერთად, კიდევ 9 ნაკრები (ესპანეთი, სერბეთი, სლოვენია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ხორვატია, თურქეთი, გერმანია, რუსეთი), რომლებიც წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ, შესარჩევი ეტაპიდან განთავისუფლებულები არიან და დანარჩენი 6 ადგილისთვის 15 ნაკრები იბრძოლებს. ამ ნაკრებებს აღარ ჩამოთვლით, რადგან კენჭისყრის სრული მონაცემების შემდეგ ისედაც ყველაფერი ნათელი გახდება.მიუხედავად ეს 15 ნაკრები 3 ჯგუფში გადანაწილდა, თითოეულში 5-5 გუნდი. ამ 3 ჯგუფიდან პირველადგილოსნები და 2 საუკეთესო

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ᲓᲔᲙᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲯᲘᲠᲘᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ

**ცნობილი ფსიქოლოგი, პროფესორი ირაკლი ბერაძე, ცნობილი ფსიქიატრი, ექიმ-ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებ